

მ. ვანიშვილი, ზ. ვაშაკიძე,
ნ. კიკაჩიშვილი, გ. ჯუღელი

საქართველოს საგადასახდელო
ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის
თავისებურებანი

„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მ. ვანიშვილი, ზ. ვაშაკიძე,
ნ. კიკაჩიშვილი, გ. ჯუღელი

საქართველოს საგადასახდელი
ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის
თავისებურებანი



რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

მოცემულ ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული საქართველოს ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: საგადასახ-დელი ბალანსის არსი და სტრუქტურა, მისი შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები; საქართველოს საგადასახ-დელი ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და შეფასება; საგადასახდელი ბალანსის დისპროპორციები და მათი დაძლევის გზები თანამედროვე საქართველოში.

წიგნი გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, ეკონომიკის თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

მეცნიერ-რედაქტორი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი კარლო ღურწყაია

რეცენზენტი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

სრული პროფესორი რამაზ ოთინაშვილი

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009

ISBN 978-9941-14-327-4

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური ნაკადების მოძრაობის რეგულირებას და კონტროლს. ფინანსური ნაკადების მოძრაობა აისახება საგადასახდელო ბალანსის დინამიკით, მისი სტრუქტურით დროში და სივრცეში. საგადასახდელო ბალანსის დინამიკის ცხრილი და საგარეო დავალიანების მომსახურების ცხრილი საქართველოში და სხვა ქვეყნებში წარმოდგენას გვაძლევს საერთაშორისო ანგარიშსწორების შესახებ თანამედროვე პირობებში.

გლობალიზაციის პროცესი საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურასა და დინამიკაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს; კარდინალურად იცვლება საგადასახდელო ბალანსის არსი და, ის უკვე განიხილება არა მხოლოდ როგორც უბრალო სტატისტიკური მაჩვენებელი, არამედ როგორც ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკაში რეალური ინტეგრაციის ამსახველი ფენომენი. საგადასახდელო ბალანსის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება, ეკონომიკური კრიზისების პროგნოზირება, ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება.

საგადასახდელო ბალანსს საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც: ჯერ ერთი, უკანასკნელი წლების განმავლობაში იგი ძალიან დიდი უარყოფითი სალდოთი ხასიათდებოდა, რაც სერიოზულ შეფერხებებს ქმნის საკმაოდ მასშტაბური საგარეო ვალის მომსახურებისათვის; მეორე, იქმნება სერიოზული საფრთხე ეროვნული ვალუტის – ლარის სიმყარის შენარჩუნებისათვის; მესამე, ქვეყანაში ფინანსური რესურსების უკმარისობაა, რაც ინვესტიციების ნაკლებობას იწვევს და, თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას აფერხებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საგადასახდელო ბალანსის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა მეტად საჭირობო როტო და სადღეისოა. ამასთან დაკავშირებით, წინამდებარე ნაშრომში, უახლეს ლიტერატურულ წყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით, თანმიმდევრულადაა განხილული საგადასახდელო ბალანსის პრობლემასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხები, როგორცაა საგადასახდელო ბალანსის არსი და სტრუქტურა, მისი შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები; საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და შეფასება; საგადასახდელო ბალანსის დისპროპორციები და მათი დაძლევის გზები თანამედროვე საქართველოში.

თავი I. საგადასახდელო ბალანსის არსი და სტრუქტურა, მისი შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები

საგადასახდელო ბალანსის პრობლემის შესწავლა მისი არსისა და სტრუქტურის გარკვევით უნდა დავიწყოთ.

სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, ვხვდებით საგადასახდელო ბალანსის არსის ვიწრო გაგებას, რომლის თანახმად, იგი აღქმულია მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათის მაჩვენებლად. ასე, მაგალითად, პ. ლინდერტის აზრით, საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს მოცემული ქვეყნისა და დანარჩენი მსოფლიოს რეზიდენტებს შორის დადებული ყველა ეკონომიკური გარიგების სისტემურ ჩანაწერს დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში¹. პ. კრუგმანის მიხედვით, საგადასახდელო ბალანსი საერთაშორისო გადახდების ამსახველი ჩანაწერია, რომელიც ქვეყნის საგარეო კავშირების ჯამს გამოხატავს². სხვა ავტორებიც ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ, მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებებით. მაგალითად, უ. ბასელერი, ი. ჰაინრიხი და ვ. კოხი მიიჩნევენ, რომ, აღნიშნულთან ერთად, საგადასახდელო ბალანსი არა მარტო ქვეყნებს შორის ურთიერთგადახდებს გვიჩვენებს, არამედ ხასიათდება ორმაგი ჩაწერით, აქტივითა და პასივით³. ვ. ვარგას მიხედვით კი საგადასახდელო ბალანსი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ჯამური შედეგის მაჩვენებელია. კერძოდ, იგი გვიჩვენებს – ქვეყანა სხვა ქვეყნების მიმართ მოვალეა, თუ კრედიტორი⁴.

თუკი, საერთო აღიარებით, საგადასახდელო ბალანსი ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჯამური შედეგია, მაშინ ამ ურთიერთობებს რაღაც მიზეზები და მიზნები გააჩნია; ისინი მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებიან. ამიტომ საგადასახდელო ბალანსის არსის სისტემატურად წარმოდგენისათვის უნდა გავითვალისწინოთ მისი როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მხარეები.

რაოდენობრივი თვალსაზრისით, საგადასახდელო ბალანსში აისახება ქვეყნის საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების სტრუქტურა, ქვეყნის შიგა ეკონომიკური დისპროპორციები და მისი კონკურენტუნარიანობა.

საგადასახდელო ბალანსი შედგება ორი ძირითადი ქვესისტემისაგან: 1. მიმდინარე ოპერაციების ბალანსი; 2. კაპიტალური და ფინანსური ბალანსი.

¹ ლინდერტი პ. პ. საერთაშორისო ეკონომიკა. – თბ.: სიახლე, 2001, გვ. 234.

² Кругман П., Обстфельд М., Международная экономика. – М., 1997, გვ.5-6, 318.

³ Baceler U., Heingich J., Koch W., Grundlagen und Probleme der Volkswirtschaft _ Koln, 1995, გვ. 277-278.

⁴ Варга В., Деньги и цены. – Мировая экономика и международные отношения, 1992, №12, გვ. 101.

მიმდინარე ოპერაციების ბალანსი მოიცავს: სავაჭრო ბალანსს, მომსახურების ბალანსს, შემოსავლებსა და ტრანსფერტებს. კაპიტალური და ფინანსური ბალანსი მოიცავს: კაპიტალის ანგარიშის ბალანსს და ფინანსური ანგარიშის ბალანსს (პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელური ინვესტიციები, სხვა ინვესტიციები).

მოცემული ქვეყნის რეზიდენტად ითვლება ნებისმიერი ადამიანი, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილიც ამ ქვეყანაშია. საცხოვრებელ ადგილს იმიტომ ექცევა ყურადღება, რომ ადამიანს სურს იქონიოს იმ ქვეყნის ვალუტა, სადაც უმეტეს დროს ცხოვრობს. ძალზე ძნელია განისაზღვროს ტურისტების, დიპლომატების, სამხედრო პერსონალის, დროებით საზღვარგარეთ მომუშავეთა ძირითადი საცხოვრებელი ადგილი. ამ მაჩვენებელზე დაყრდნობა არცთუ საიმედოა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სხვაობა დიდი არ არის, მისი გამოყენება შესაძლებელია. იურიდიულ ლიტერატურაში რეზიდენტი განისაზღვრება როგორც პირი, რომელიც წლის განმავლობაში 183 დღეზე მეტს იმყოფება მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე.

ეკონომიკური გარიგება არის ღირებულებების ნებისმიერი გაცვლა, აქტი, რომლითაც ფორმდება ეკონომიკურ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა, ეკონომიკური მომსახურების გაწევა ანუ აქტივებზე საკუთრების უფლება გადადის მოცემული ქვეყნის რეზიდენტებისაგან სხვა ქვეყნის რეზიდენტებზე.

ნებისმიერ გარიგებას აქვს ორი მხარე. მოცემული ქვეყნის თვალსაზრისით, გარიგების ეს მხარეები შემდგენაირად განისაზღვრება. კრედიტი – ღირებულებათა გადინება, რომელსაც უნდა მოჰყვეს ღირებულებათა მაკომპენსირებელი მოდინება, გადახდა მოცემული ქვეყნისათვის. დებეტი – ღირებულებათა მოდინება, რისთვისაც ქვეყნის რეზიდენტებმა ფული უნდა გადაიხადონ.

მომსახურების ექსპორტი მოიცავს პროცენტულ გადასახადებსა და დივიდენდებს სხვა ქვეყნებში ექსპორტირებული საკრედიტო მომსახურებისათვის. საყოველთაოდ მიღებულ ჟარგონზე, საზღვარგარეთ კრედიტის მიწოდებას „კაპიტალის ექსპორტს“ ეძახიან, საზღვარგარეთულ სესხებს კი „კაპიტალის იმპორტს“. მაგრამ არ უნდა შეგვეშალოს, პირველ შემთხვევაში ლაპარაკია „დებეტზე“ (როგორც საქონლის იმპორტზე), ხოლო მეორე შემთხვევაში - „კრედიტზე“ (ე.ი. საქონლისა და მომსახურების ანალოგიურ ოპერაციაზე).

ქვეყნის ოფიციალური აქტივების ზრდა აისახება როგორც „დებეტი“, სახელმწიფო საცაავებში ოქროს რეზერვების დაგროვება საქონლის იმპორტის ანალოგიურია, თუმცა ოქროს ყიდვა შესაძლებელი ხდება მხოლოდ საქონლისა და მომსახურების ნეტო ექსპორტის წარმოქმნის, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებუ-

ბულებათა ზრდის შედეგად.

ანგარიშთა წარმოება ტექნიკურად მოუხერხებელია, როდესაც შეუძლებელია ღირებულებათა ურთიერთდამფარავი ნაკადების დაპირისპირება. ზოგჯერ ხილული საერთაშორისო ნაკადების სახით საგადასახდელო ბალანსში გარიგების მხოლოდ ერთი მხარეა მოცემული, ზოგჯერ კი გარიგების საერთაშორისო ასპექტები საერთოდ ბუნდოვანია. საგადასახდელო ბალანსის მუხლების ფორმირების სამი ძირითადი პრობლემა არსებობს: 1. „შეწირულება“, „გზავნილები“ - ამ დროს ორმაგი ჩაწერის პრინციპის შესანარჩუნებლად წერენ „შეწირულება“ „გზავნილები“; 2. ზოგჯერ ორი შემხვედრი ნაკადიდან საგადასახდელო ბალანსში ერთი აღირიცხება. აღურიცხავი ნაკადების ეს თანხა გაირკვევა დებეტისა და კრედიტის საერთო დაჯამებისას და მათ შორის განსხვავება იწერება წმინდა შეცდომებსა და გამოტოვებებში; 3. ხშირად ქვეყნის აქტივები და პასივები ფასეულობათა ხელშესახები ნაკადების გარეშე მატულობს. ჩვეულებრივ სახელმწიფო სტატისტიკაში მოგება, ისევე როგორც საზღვარგარეთ მისი რეინვესტირება, დედაკომპანიის ქვეყანაში მის რეპატრიაციამდე მთლიანად გამოირიცხება საგადასახდელო ბალანსის მუხლებიდან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

საგადასახდელო ბალანსის კრედიტის საერთო თანხა მისი დებეტის საერთო თანხის ტოლია.

არჩევენ ბალანსის სამ სახეს: 1. სავაჭრო ბალანსი; 2. მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი; 3. საერთო ბალანსი ანუ ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსი. ამ ბალანსთაგან თითოეული ჯამდება ჰორიზონტალური ხაზით. ყველა შემთხვევაში სალდო დადებითია, თუ კრედიტი ხაზს ზემოთ ჭარბობს დებეტს, ამასთან, ასეთივე სიდიდით მაგრამ შებრუნებული ნიშნით უწონასწორდება ხაზს ქვემოთ მდებარე მუხლებს. დეფიციტი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ხაზს ზემოთ კრედიტი ნაკლებია დებეტზე.

სავაჭრო ბალანსი ყველაზე ხშირად ქვეყნდება და ის წარმოადგენს საქონლის წმინდა ექსპორტის ღირებულებას. ის ჯამდება მხოლოდ სავაჭრო ნაკადების მუხლების მიხედვით, ხოლო სხვა მუხლები ხაზს ქვემოთ რჩება. ხშირად გაისმის რომ სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო ქვეყანაში ეკონომიკური ვითარების შედეგია. ეს სამართლიანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მოცემული ქვეყნის საქონელზე მოთხოვნის შემცირებითაა განპირობებული.

მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი ყველაზე ინფორმაციული ბალანსია და ის გვიჩვენებს თუ რამდენი მოთხოვნა იყო უცხოელების მიმართ. მასში აისახება

რეზერვების მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა ნაკადი (საქონლის, მომსახურების, შემოსავლებისა და ტრანსფერტების ბალანსი).

ოფიციალურ ანგარიშსწორებათა დადებითი სალდო უდრის ქვეყნის რეზერვების ზრდას დამატებული საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობების მიმართ ქვეყნის ლიკვიდური ვალდებულებების წმინდა შემცირება, დეფიციტი კი – პირიქით.

საგადასახდელო ბალანსის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ შეკუმშული სახით დაგვანახოს მოცემული ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მდგომარეობა და იყოს ინდიკატორი მთავრობის ფულადი, სავალუტო, საგადასახადო და სხვა პოლიტიკისათვის. საერთო ბალანსი ანუ ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსი გვიჩვენებს რამდენად მნიშვნელოვანია ვალუტის პოზიციების დაცვის პრობლემა და ქვეყნის უნარი გადაიხადოს ვალდებულებების მიხედვით.

საფინანსო ანგარიშის დადებითი სალდო მეტყველებს ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებაზე და რეზიდენტების ვალდებულებების ზრდაზე. ის არის ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების უმთავრესი წყარო.

ქვეყნები სხვადასხვანაირად ზომავენ საერთო საგადასახდელო ბალანსის სალდოს. ზოგი ორიენტირებას ოფიციალური რეზერვების ცვლილებაზე აკეთებს, ზოგი ქვეყანა ერთმანეთს ადარებს მისი ოფიციალური რეზერვებისა და ქვეყნის მიმართ უცხოელთა ლიკვიდური მოთხოვნის ზრდას.

საგადასახდელო ბალანსზე გავლენას ახდენს: ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე, საზღვარგარეთ ქვეყნის ხარჯების ზრდა, სამხედრო ხარჯების დონე, საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის განვითარება, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა განვითარების ხარისხი და ინფლაციის დონე.

ხარისხობრივი თვალსაზრისით, საგადასახდელო ბალანსი არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ფულადი ფორმით ანგარიშსწორების ჯამური შეფასება, რომლის მიზანია ეროვნული მეურნეობის მსოფლიო ეკონომიკაში ეფექტიანი ინტეგრაცია საერთაშორისო შემოსავლების განაწილებაში აქტიური მონაწილეობით, მიმდინარე და კაპიტალის სალდოს გაუმჯობესების საფუძველზე.

ასეთი დეფინიციით ჩანს საგადასახდელო ბალანსის რაოდენობრივი მხარე – მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის ხასიათი: წამგებიანია, თუ დადებითი შედეგების მომტანია (მომგებიანი) იგი; აქტიურად, თუ პასიურად მონაწილეობს

ქვეყანა საერთაშორისო შემოსავლების განაწილებაში. ასევე ჩანს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მიზნის მიღწევის მექანიზმი, საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურული ელემენტების – მიმდინარე და კაპიტალის ბალანსის ურთიერთმოქმედება რამდენად აბალანსებენ, ავსებენ ერთმანეთს ქვეყნის სტრატეგიული მიზნების სარეალიზაციოდ (ცხრილი 1).

ცხრილი 1

საგადასახდელო ბალანსის სისტემა

აქტივი	პასივი
1. მიმდინარე ბალანსი	
სასაქონლო ექსპორტი	სასაქონლო იმპორტი
მომსახურების ექსპორტი	მომსახურების იმპორტი
ტრანსფერტები საზღვარგარეთიდან	ტრანსფერტები საზღვარგარეთიდან
2. კაპიტალის ბალანსი	
კაპიტალის იმპორტი	კაპიტალის ექსპორტი
3. ოქროსა და ვალუტის მოძრაობა	
ოქროსა და ვალუტის შემოდინება	ოქროსა და ვალუტის გადინება
4. მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის ხარისხი	
საერთაშორისო შემოსავლებში აქტიური მონაწილეობა	საერთაშორისო შემოსავლებში პასიური მონაწილეობა
ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის განმტკიცება	ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის შემცირება
ინტეგრაციის ხარისხის ამაღლება	ინტეგრაციის ხარისხის შემცირება

საგადასახდელო ბალანსის არსში გარკვევისათვის ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე განვსაზღვროთ მისი ძირითადი ფუნქციები იმის საფუძველზე, რაც უკვე ითქვა. პირველი ფუნქცია ქვეყანაში ფინანსური რესურსების შემოდინებასა და ქვეყნიდან მისი გადინების თანაფარდობის გაზომვით გამოიხატება, მეორე ფუნქცია – საგადასახდელო ბალანსის ხარისხის განსაზღვრით, რაც მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნების პოზიციების განმტკიცებით და და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობით აისახება. პირველ შემთხვევაში საგადასახდელო ბალანსის დინამიკის რაოდენობრივ შედეგთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში – მის ხარისხობრივ შედეგთან.

საგადასახდელო ბალანსის არსის დადგენის საფუძველზე უკვე შეგვიძლია

გამოვიყენოთ მისი შეფასების მეთოდოლოგიური პრინციპები, კრიტერიუმები და მაჩვენებელთა სისტემა.

საგადასახდელი ბალანსის დინამიკის შეფასების პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

➤ შეფასების სისტემური ხასიათი, რაშიც მსოფლიო მეურნეობაში ქვეყნის მონაწილეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების გათვალისწინება, ანალიზი იგულისხმება;

➤ საგადასახდელი ბალანსის დინამიკისა და მისი შეფასების დამოკიდებულება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე, ანუ შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების ცვლილება განვითარების კვალობაზე;

➤ საგადასახდელი ბალანსის ინფორმაციული ხასიათი, ბუნება, რის გამოც იგი ფინანსური და ინფორმაციული სისტემების კანონზომიერებებსაც, ტენდენციებსაც ემორჩილება;

➤ საგადასახდელი ბალანსის დინამიკის სოციალური ორიენტაცია, რაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ადამიანის განვითარებაზე, ცხოვრების ხარისხზე, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური გარემოს ცვლილებაზე მის ზემოქმედებას გამოხატავს;

➤ შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების შესადარისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ფასეულობებთან;

➤ შერჩეული კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების საფუძველზე საგადასახდელი ბალანსის სისტემური რეგულირების განხორციელების შესაძლებლობა.

აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე განსაზღვრულია საგადასახდელი ბალანსის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც მე-2 ცხრილშია მოცემული. ჩვენ გამოვიყოფთ ოთხ ძირითად კრიტერიუმს:

1. საგარეო ეკონომიკური სექტორის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისა და მდგრადობის ხარისხი;
2. მიმდინარე ოპერაციების დაბალანსებულობა;
3. კაპიტალის მოძრაობის დაბალანსებულობა;
4. ოქრო სავალუტო რეზერვების დაბალანსებულობა.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პირველი კრიტერიუმის მიხედვით გამოყოფილი მაჩვენებლების დინამიკას. მსოფლიო განვითარებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტენდენციები: ბოლო ათწლეულების განმავლობაში

დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების წილი მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში იზრდება, ხოლო მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების წილი – მცირდება. მრავალი ქვეყანა წარმატებით ძლევს საერთო ეროვნული ბაზრის შეზღუდულობას და საერთაშორისო ბაზრებზე აქტიური საქმიანობით ეკონომიკური ზრდისა და საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას უზრუნველყოფს. მაშასადამე, ქვეყნების კეთილდღეობა თანამედროვე პირობებში უშუალოდ არის დამოკიდებული მათი მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის ხარისხზე.

ცხრილი 2

საგადასახდელო ბალანსის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემა

№	კრიტერიუმების სისტემა	მაჩვენებელთა სისტემა
1	საგარეო ეკონომიკური სექტორის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისა და მდგრადობის ხარისხი	<ol style="list-style-type: none"> 1. ქვეყნის მშპ-ის წილი მსოფლიო მეურნეობის მშპ-ში 2. საგადასახდელო ბალანსის დინამიკა 3. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა 4. სავალუტო რეზერვების დინამიკა 5. საგარეო ვალის მოცულობა და დინამიკა 6. ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი 7. საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის ხარისხი
2	მიმდინარე ოპერაციების დაბალანსებულობა	<ol style="list-style-type: none"> 1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსი 2. საქონლით ვაჭრობის ბალანსი 3. მომსახურებით ვაჭრობის ბალანსი 4. სავაჭრო ბალანსი 5. შემოსავლების ბალანსი 6. ტრანსფერტების ბალანსი

3	კაპიტალის მოძრაობის დაბალანსებულობა	<ol style="list-style-type: none"> 1. კაპიტალის ბალანსი 2. კაპიტალის ოპერაციების ანგარიშის ბალანსი 3. ფინანსური ბალანსი 4. პირდაპირი ინვესტიციების ბალანსი 5. პორთფელური ინვესტიციების ბალანსი 6. სხვა ინვესტიციების ბალანსი
4	ოქროსავალუტო რეზერვების დაბალანსებულობა	<ol style="list-style-type: none"> 1. ოქროსავალუტო რეზერვების ბალანსი

მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში აქტიური მონაწილეობა უშუალოდ ზემოქმედებს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დინამიკაზე და კონკურენტუნარიანობაზე. როგორც წესი, საგადასახდელო ბალანსის საღდო მერყეობს ეკონომიკური ზრდის ხასიათის ცვალებადობის კვალობაზე. დადებითი საღდოთი ხასიათდებიან უპირატესად განვითარებული და წარმატებული ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, მაშინ როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ჩამორჩენილი ქვეყნები უარყოფითი საღდოთი ხასიათდებიან [დანართი 1].

რაც შეეხება ქვეყნების კონკურენტუნარიანობას, ამ მაჩვენებლის შეფასებითი ფასეულობა მრავალფეროვანია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი საგადასახდელო ბალანსის ანალიზისათვის. გაგრძელებულია მისი ორი ვარიანტი.

პირველი ვარიანტი წარმოადგენს მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსს, რომელიც მსოფლიო კონკურენტუნარიანობის წლიურ ანგარიშში ქვეყნდება მართვის მეთოდების სრულყოფის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ. მისი გამოთვლა ხდება 286 კრიტერიუმის საფუძველზე იმის მიხედვით, თუ როგორ ქმნის ქვეყანა ფირმებისათვის კონკურენტულ გარემოს. არჩეულია 49 ქვეყანა მათი მსოფლიო ეკონომიკაზე გავლენისა და ინფორმაციის შესადარისობის მაღალი დონის მიხედვით. კონკურენტუნარიანობა ფასდება 4 კრიტერიუმის მიხედვით: პირველი ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ აქტიურობას, მაკროეკონომიკურ შეფასებას, მათ შორის ისეთ მაჩვენებლებს, როგორიც არის: ეკონომიკის სასტარტო მდგომარეობა, საბაზრო კონკურენციის ხარისხი, ვაჭრობის ლიბერალიზაციის

დონე, ქვეყნის გახსნილობის ხარისხი. მეორე გამოხატავს სახელმწიფოს ეფექტიანობას, მის უნარს უზრუნველყოს მაკროეკონომიკური და სოციალური პირობები, ფირმებისათვის გარეგანი რისკების მინიმიზაცია, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა. მესამე გულისხმობს ბიზნესის ეფექტიანობას მისი ფინანსური და კვალიფიციური უზრუნველყოფის ჩათვლით, ხოლო მეოთხე – ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფას ინსტიტუციური, ინოვაციური, ტექნოლოგიური, მეცნიერული ხასიათის მიმართულებით. შესაბამისად იანგარიშება ქონებრივი რეიტინგი [დანართი 2].

მეორე ვარიანტი გულისხმობს უფრო მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტს – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეგულარულად მომზადებულ გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენებას, რომელიც 1979 წლიდან აფასებს ქვეყნების კონკურენტუნარიანობას, მათი ეკონომიკური სიძლიერის რეიტინგის მიხედვით. ბოლო პერიოდში პროექტს ხელმძღვანელობენ ცნობილი მეცნიერები მ. პორტერი და ჯ. საქსი. მ. პორტერმა 1985 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც ჩამოაყალიბა ქვეყნებს შორის კონკურენტული უპირატესობის თეორია, ჯ. საქსი კი ცნობილია, როგორც მაკროეკონომიკის ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი, რომლის ხელმძღვანელობით და იდეების საფუძველზე განხორციელდა ცალკეულ ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამები, მათ შორის პოლონეთსა და რუსეთში.

აღნიშნული მოხსენება მოიცავს კონკურენტუნარიანობის ორ ინდექსს: ზრდის კონკურენტუნარიანობის და მიმდინარე კონკურენტუნარიანობის ინდექსებს. პირველში ასახულია მომავალი ზრდის, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის ცვლილების ტემპის განმსაზღვრელი ფაქტორები სამი ქვეინდექსის სახით: ტექნოლოგიური განვითარების დონე, საზოგადოებრივი დაწესებულებების ხარისხი, მაკროეკონომიკური პირობები. მეორე ინდექსი აქცენტს აკეთებს მიმდინარე მწარმოებლურობისა და ეკონომიკური აქტივობის უზრუნველყოფ ფაქტორებზე. მაშასადამე, პირველი ინდექსი ეკონომიკური ზრდის სფეროში კონკურენციის ქვეყნობრივ რეიტინგს გვიჩვენებს, ხოლო მეორე – მიმდინარე კონკურენტუნარიანობას [დანართი 3].

კონკურენტუნარიანობის ამაღლება უშუალოდ არის დაკავშირებული მდგრად განვითარებაზე გადასვლასთან, რომელიც, უსაფრთხოებასთან ერთად, გლობალიზაციის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ სტრატეგიად გადაიქცა. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის უზრუნველყოფა, განსაზღვრული მაჩვენებლების

მიზანდასახული მართვისა და საერთოდ საგადასახდელო ბალანსის პროგრამირების საფუძველზე (ცხრილი 3).

ცხრილი 3

საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის ტრადიციული მაჩვენებლები ¹

№	მაჩვენებელი	შინაარსი
1	2	3
1	ექსპორტი ფობი/მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის კრედიტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე შემოსავლებში საექსპორტო შემოსავლების წილს გვიჩვენებს
2	იმპორტი ფობი/მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დებეტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე გასავლებში იმპორტზე ხარჯების წილს გვიჩვენებს
3	საქონლის და მომსახურების კრედიტი/ მშპ	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მშპ-ის მიმართ მიმდინარე შემოსავლების შეფარდებას გვიჩვენებს საერთშაო სოციალურ შედარებების მიზნით
4	საქონლის და მომსახურების დებეტი/მთლიანი ეროვნული ხარჯები	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მშპ-ის ხარჯების მიმდინარე ხარჯებთან თანაფარდობას გვიჩვენებს
5	ინვესტიციური შემოსავლების კრედიტი/მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის კრედიტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე შემოსავლებში ინვესტიციებიდან შემოსავლების წილს გვიჩვენებს
	ინვესტიციური შემოსავლების კრედიტი/მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის კრედიტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე შემოსავლებში ინვესტიციებიდან შემოსავლების წილს გვიჩვენებს
6	ინვესტიციური შემოსავლების დებეტი/მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დებეტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე ხარჯებში ქვეყნის შიგნით საზღვარგარეთულ ინვესტიციებზე გადახდების წილს გვიჩვენებს
7	მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსი/მშპ	თანაფარდობა, რომელიც მიმდინარე სალდოს შეფარდებით სიდიდეს გვიჩვენებს
8	სავალუტო რეზერვები/საქონლის და მომსახურების იმპორტთან	თანაფარდობა, რომელიც გვიჩვენებს ქვეყნის უნარს დაფაროს თავისი საგარეო ვალდებულებანი
9	მთლიანი (წმინდა) საგარეო ვალი / მშპ	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკისათვის საგარეო დავალიანების შედარებით სიმძიმეს გვიჩვენებს

¹ http://www.state.gov/www/issues/economic/trade_reports/1999.2/13/02. page 1 of 6-11, page 2 of 6-11.

1	2	3
10	მთლიანი (წმინდა) საგარეო ვალი/საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	თანაფარდობა, რომელიც საგარეო დავალიანების სიმძიმეს გვიჩვენებს საქსპორტო შემოსავლების თვალსაზრისით.
11	წმინდა საერთაშორისო ინვესტიციური პოზიცია/მშპ	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის წმინდა საზღვარგარეთული აქტივების მშპ-ში წილს გვიჩვენებს.
12	ვალის მომსახურება/საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის საგარეო დავალიანების შედარებით სიმძიმეს გვიჩვენებს საქსპორტო შემოსავლების თვალსაზრისით.

ამ მაჩვენებლების გაანგარიშება საფუძვლად უდევს საგადასახდელო ბალანსის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. ამის საფუძველზე მუშავდება და ხორციელდება საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა სხვა ქვეყნებთან.

მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით 1998 წლის ფინანსური კრიზისისა და 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, რაც მსოფლიო მეურნეობაში არასტაბილური ტენდენციების გაძლიერებასთან არის დაკავშირებული, ძალიან აქტუალური გახდა მდგრადობის მაჩვენებლების უსაფრთხო ზღვრული სიდიდეებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შეფასების პრობლემა (ცხრილი 4).

ცხრილი 4

საგადასახდელო ბალანსის უსაფრთხოების ზღვრული მაჩვენებლები¹

№	მაჩვენებელი	ზღვრული სიდიდეები
1	2	3
1	მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსის უარყოფითი სალდო მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 10%-სა
2	საგარეო ვალის სიდიდე მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 30%-სა
3	წმინდა ექსპორტი მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 2-3%-ისა
4	ხარჯების წილი სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების მოცულობის მიმართ	არაუმეტეს 20%-სა
5	ინოვაციური პროდუქციის წილი სამრეწველო პროდუქციაში	არანაკლებ 15%-სა

¹ Сенчагов В.К., Экономическая безопасность, М., 2002, стр. 76-77* Киреев А.Международная экономика. Часть втораяю М.: Международные отношения, 2002, стр. 434-435.

1	2	3
6	სავალუტო რეზერვები საქონლის და მომსახურების იმპორტის მიმართ	არანაკლებ 3-4 თვის იმპორტისა
7	საგარეო ვალი საქონლის და მომსახურების ექსპორტის მოცულობის მიმართ	არაუმეტეს 165%-სა
8	საგარეო ვალის მომსახურება საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მიმართ	არაუმეტეს 18%-სა

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებლები არ არის დოგმა, ისინი ცვალებადობენ, მაგრამ საორიენტაციო მნიშვნელობა აქ მოცემულ ზღვრულ მაჩვენებლებს საგადასახდლო ბალანსის შეფასებისათვის უდაოდ აქვთ.

გათვალისწინებულია სრულიად ახალი ვითარებაც ეკოლოგიური განვითარების სფეროში. უკვე დღეს ექსპორტი იზრდება ეკოლოგიური პროდუქტისა და მომსახურების მკვეთრად გაფართოების ზემოქმედებით. ანალოგიური ტენდენციებია კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებითაც – ინვესტიციებისათვის მიმზიდველია ის დარგები, რომლებიც მკაცრ ეკონომიკურ რეგულირებას ექვემდებარებიან.

ეკოლოგიური საქონელი და მომსახურება ერთ-ერთ ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებად ბაზრად ჩამოყალიბდა, რომელსაც გაფართოების დიდი შესაძლებლობები აქვს. ამ სფეროში ლიდერობენ გერმანია, აშშ, და იაპონია. ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი სექტორია მაღალი ტექნოლოგიების ჯგუფის მზა საქონლის წარმოება და თანამედროვე პირობებში ექსპორტის ზრდა სწორედ ამ ჯგუფის საქონლის საფუძველზე ხდება.

მეორე მხრივ, ამ ჯგუფის საქონლის წარმოება, ტექნოლოგიური მიღწევების მაღალი ინდექსი ზრდის ქვეყნის მიმზიდველობას, კონკურენტუნარიანობას და კაპიტალის ნაკადიც სწორედ ასეთი ქვეყნებისაკენ მიემართება. ქვეყნის ტექნოლოგიური მიღწევები, ინტელექტუალური პოტენციალის მაღალი დონე, კაპიტალის მასშტაბური მოზიდვა ქვეყანაში კარდინალურად ცვლის საგადასახდლო ბალანსის სტრუქტურას, მის დინამიკას და საბოლოო შედეგებს, რაც არ შეიძლება არ გაითვალისწინოთ მისი შეფასებისას. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა აშშ-ის განვითარება ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

ცნობილია, რომ აშშ-ის სავაჭრო ბალანსი დიდი ხანია უარყოფითია, უარყოფითია ამის გამო მისი საგადასახდლო ბალანსიც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყანა წარმატებულად ვითარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საგადასახდლო ბალანსის უარყოფითი საღლო ყოველთვის არ შეიძლება უარყოფით მოვლენად ჩაითვალოს. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება აშშ-ის გამოცდილების

გათვალისწინებით. იმპორტის დიდი სიჭარბე ექსპორტის მიმართ, რაც საგადასახდლო ბალანსის უარყოფითი სალდოს ძირითადი მიზეზი იყო, ამ ქვეყანამ გამოიყენა ძალიან მაღალი უკუგებით, რაც გამოიხატებოდა შემდეგით:

ჯერ ერთი, იმპორტის უდიდესი მასა იყო შედარებით იაფი, შემოტანილ მარტივ საქონელს ყიდულობდა იაფად, სამაგიეროდ თავის მაღალი ტექნოლოგიებით დამზადებული პროდუქცია გაჰქონდა გარეთ, რითაც ამ პროდუქციის ბაზრებზე თანდათან მკვიდრდებოდა;

მეორე, იმპორტი საშუალებას აძლევდა მას სამუშაო ძალა და სხვა რესურსები უახლესი წარმოებისა და დარგების განვითარებისათვის გადაეყვანა, რის გამოც 1980-1995 წლებში ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ძვრები განხორციელდა, ინფორმაციული ეკონომიკის უახლესი საწარმო ბაზის შექმნის სახით;

მესამე, ასეთი სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ის ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად დაჩქარდა, რაც აისახა არა მარტო მშპ-ის ზრდის შედარებით მაღალი ტემპებით, არამედ მწარმოებლურობის ზრდის მაღალი ტემპებითაც;

მეოთხე, ზემოთ აღნიშნულის შედეგად, აშშ-ის ეკონომიკა 90-იანი წლების დასასრულს გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალი მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ქვეყნად¹.

სწორედ ამით არის ძირითადად გამოწვეული ის ფაქტი, რომ კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში არა მარტო ამცირებს უარყოფითი საგაჭრო ბალანსის სიდიდეს, არამედ ბოლო წლებში სრულიად ფარავს მას და საგადასახდლო ბალანსიც დადებით სალდოთი აღინიშნება. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1990-1998 წლებში აშშ-ის ექსპორტი გაიზარდა 536-დან 939.9 მლრდ დოლარამდე, იმპორტი – 615,9-დან 1098,2 მლრდ დოლარამდე, მიმდინარე ბალანსის უარყოფითი სალდო – 79,3-დან 220,5 მლრდ დოლარამდე. მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე 1998 წელს გადაფარა კაპიტალის შემოდინებამ; მარტო პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები შემოვიდა 193,3 მლრდ დოლარის ოდენობით, რასაც დაემატა კიდევ კერძო კაპიტალის შემოსვლა.

მეორე მხრივ, იზრდება არა მარტო საქონლისა და მომსახურების, ფინანსური კაპიტალის მოძრაობა, არამედ ცოდნის, ინფორმაციის, ინსტიტუტების, ტექნოლოგიების, ადამიანისეული კაპიტალის, სოციალური კაპიტალის ექსპორტ-იმპორტი. იგი ვლინდება არა მარტო ტექნოლოგიური ბაზრების, ბირჟების ბრუნვის, პატენტებით ვაჭრობის სწრაფი ზრდით, არამედ აგერთვე მენეჯმენტის, საბაზრო

¹ Государство и рынок: американская модель. М., 1999, გვ. 273-287.

ინსტიტუტების, ქცევის, ცოდნის მეთოდების, კანონების ორგანიზაციული ფორმების ინტენსიური ექსპორტ-იმპორტით თუმცა, ეს უკანასკნელი ღირებულებით ასახვას ყოველთვის ვერ პოულობს.

გამოკლვევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე პირობებში საგადასახდელო ბალანსის ტრადიციული მეთოდებითა და მახასიათებლებით შეფასება უკვე საკმარისი არ არის, თუმცა მათი როლი კვლავ დიდია. ასეთი შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობისაა შემდეგი დასკვნები.

➤ წინა პლანზე გამოდის შეფასების სისტემურობის უზრუნველყოფა, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მხარეების გათვალისწინება, ისეთი კრიტერიუმები და მაჩვენებლები, რომლებიც ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობის ხარისხს განსაზღვრავდნენ.

➤ ცხადია, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს სავაჭრო, კაპიტალის და საგადასახდელო ბალანსების ხასიათი, დადებითია თუ უარყოფითი. ირკვევა, რომ სავაჭრო, კაპიტალისა და საგადასახდელო ბალანსის უარყოფით სალდო ყოველთვის არ არის ნეგატიური ხასიათის ტენდენცია. თუ ქვეყანა ასეთი უარყოფითი სალდოს პერიოდს იყენებს აქტიური პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნებისათვის, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის, დანაზოგებისა და ინვესტიციების გადიდების გზით, მაშინ მისი განვითარების დონე მაღლდება და საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდო არ არის ცალსახად ნეგატიური მოვლენა. მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციისა და გლობალიზაციის პროცესებით გამოწვეული ტენდენციების შედეგები უნდა აისახოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურაშიც.

➤ დღემდე საგადასახდელო ბალანსის შემუშავება და შეფასება ხორციელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული დოკუმენტებით: სახელმძღვანელო საგადასახდელო ბალანსის შესახებ (1993 წ.) და ცნობარი საგადასახდელო ბალანსის შედგენის შესახებ (1995 წ.). მაგრამ ამ დოკუმენტების გამოსვლის შემდეგ ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამიტომ ზემოთ დახასიათებული ცვლილებების ასახვისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია „სახელმძღვანელოში“ და „ცნობარში“ მოხვდეს ახალი მაჩვენებლების დაფიქსირება. კერძოდ, აუცილებელია საგადასახდელო ბალანსის შეფასებისათვის ამ დოკუმენტში აისახოს შემდეგი მაჩვენებლები: საქონლის ანგარიშში უნდა აისახოს ეკოლოგიური საქონელი და მომსახურება; აგრეთვე: პატენტების ექსპორტი და იმპორტი; მაღალი ტექნოლოგიების სექტორის ექსპორტი და იმპორტი; საშუალო ტექნოლოგიების სექტორის ექსპორტი და იმპორტი; დაბალი ტექნოლოგიების სექტორის ექსპორტი

და იმპორტი. ამ სექტორების პროდუქციის სტატისტიკას უკვე ახორციელებს გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამა და მსოფლიო ბანკი და მისი ასახვა საგადასახდელო ბალანსის ანგარიშებში რთული არ იქნება. ფინანსურ ანგარიშში უნდა აისახოს პირდაპირი ინვესტიციების მოძრაობა, საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილში, ეკოლოგიური წარმოების სფეროში. კაპიტალის მოძრაობა ამ სფეროში სულ უფრო ფართოვდება, ეკოლოგიური ფაქტორი კი კაპიტალის მოზიდვის უმნიშვნელოვანეს წინამძღვრად გადაიქცა. ფინანსურ ანგარიშში ანალოგიურად უნდა აისახოს აგრეთვე პირდაპირი ინვესტიციების მოძრაობა მაღალი ტექნოლოგიების სფეროში. თუ ქვეყანას ასეთი სექტორი არ გააჩნია, მაშინ ის ინვესტიციების მოზიდვას ვერ განახორციელებს და მისი საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესება ყოველთვის სურვილის დონეზე დარჩება.

➤ ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ ისინი თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარ ცვლილებებს ადეკვატურად ასახავენ და მათი მნიშვნელობა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა და განვითარების ახალი ტიპის დამკვიდრების კვალობაზე. ამიტომ საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის ტრადიციული მაჩვენებლები ახალი მაჩვენებლებით უნდა შეივსოს. მათი გაანგარიშება უკვე ხორციელდება სხვადასხვა მიზნებისათვის (ცხრილი 5).

ცხრილი 5

საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის ახალი
მაჩვენებლები

№	მაჩვენებელი	შინაარსი
1	2	3
1	ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (ფობი)/ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის კრედიტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე შემოსავლებში ეკოლოგიური პროდუქციის ექსპორტის წილს გვიჩვენებს
2	ეკოლოგიური საქონლისა და მომსახურების იმპორტი (ფობი)/ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დებეტი	თანაფარდობა, რომელიც ქვეყნის მიმდინარე გასავლებში ეკოლოგიური პროდუქციის იმპორტზე ხარჯების წილს გვიჩვენებს
3	პატენტების ექსპორტი (ფობი)/ მშპ	თანაფარდობა, რომელიც მშპ-ის მიმართ პატენტების გაყიდვით მიღებულ წილს გვიჩვენებს
4	პატენტების იმპორტი (ფობი)/ მთლიანი ეროვნული ხარჯების წილი	თანაფარდობა, რომელიც მიმდინარე ეროვნული ხარჯების მიმართ პატენტების იმპორტზე დანახარჯებს გვიჩვენებს

1	2	3
5	მაღალი ტექნოლოგიების სექტორის პროდუქციის ექსპორტი (ფობი)/ მშპ	თანაფარდობა, რომელიც მშპ-ის მიმართ მაღალტექნოლოგიის სექტორის პროდუქციის საექსპორტო შემოსავლების წილს გვიჩვენებს
6	მაღალი ტექნოლოგიის სექტორის პროდუქციის იმპორტი (ფობი)/ მთლიანი ეროვნული ხარჯების წილი	თანაფარდობა, რომელიც მიმდინარე ეროვნული ხარჯების მიმართ მაღალი ტექნოლოგიების პროდუქციის იმპორტზე დანახარჯებს გვიჩვენებს
7	პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები ეკოლოგიური წარმოების სექტორში/პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები	თანაფარდობა, რომელიც ეკოლოგიური წარმოების სექტორში პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების წილს გვიჩვენებს პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობაში.
8	პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები მაღალი ტექნოლოგიების სექტორში/პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები	თანაფარდობა, რომელიც მაღალი ტექნოლოგიების სექტორში პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების წილს გვიჩვენებს არაპირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობაში

საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის ხარისხი, ჩვენი აზრით, სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ეკოლოგიური ბაზრების, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური ბაზრების საერთაშორისო ბრუნვაში ქვეყნის მონაწილეობაზე, როგორც პროდუქციით, ასევე კაპიტალით, ინვესტიციებით.

➤ სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ან მიმდინარე ბალანსის დეფიციტი შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გადაფაროს კაპიტალის ბალანსის დადებითმა სალდომ, ან პირიქით. მეორე მხრივ, თვითონ სავაჭრო ბალანსში, ან კაპიტალის ბალანსში შეიძლება უმრავლესი კომპონენტის სალდო უარყოფითი იყოს, მაგრამ სხვა რომელიმე ერთმა ან რამდენიმე კომპონენტმა იგი ნაწილობრივ ან მთლიანად გადაფაროს. საგადასახდელო ბალანსის შეფასებისათვის საჭიროა არა მარტო მისი დადებითი ან უარყოფითი სალდოს დაფიქსირება, რაც მთავარია, მისი სტრუქტურული, ხარისხობრივი შეფასება, გრძელვადიანი სტრუქტურული სრულყოფის ტენდენციების, კონკურენტუნარიანობის, მდგრადობის პერსპექტივების განსაზღვრა.

მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომა საგადასახდელო ბალანსის შეფასებისადმი მოგვცემს საშუალებას რეალურად განისაზღვროს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და მისი ზრდის შესაძლებლობები.

თავი II. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი და შეფასება

ნებისმიერი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დინამიკის თავისებურებები განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდის ფაქტორებითა და შედეგებით.

ეკონომიკური ზრდის ზემოქმედება საქართველოს საგადასახდელო ბალანსზე ხორციელდება, პირველ რიგში, მისი მშპ-ის აბსოლუტური მოცულობითა და დინამიკით, წილით მსოფლიოს მშპ-ში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობით საერთაშორისო ბაზარზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშპ-ის აბსოლუტური მოცულობის ფაქტორი. რაც მეტია იგი, მით უფრო მეტი რესურსების გამოყოფა შეუძლია ქვეყანას საგარეო ეკონომიკური სექტორის განვითარებისათვის, საერთაშორისო ეკონომიკაში აქტიური მონაწილეობისათვის. შესაბამისად იზრდება ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობანი და მისი მიმზიდველობა უცხოური ინვესტიციებისათვის.

ბუნებრივია, ბოლო ათწლეულის კრიზისულ პერიოდს არც საქართველოს საგარეო ეკონომიკური სექტორისათვის და საგადასახდელო ბალანსის დინამიკისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია. საქართველო თანდათან უფრო ერთგვება საერთაშორისო ეკონომიკურ უთრთიერებებში. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პროცესს იგი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა და ამიტომაც იგი ძალიან მტკივნეულად მიმდინარეობს. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოს მშპ-ის წილი მსოფლიოს მშპ-ში 1990-2005 წლებში შემცირდა 0,06%-დან 0,0096%-მდე, ანუ 1990 წ. დონესთან შედარებით 98,4%-ით შემცირდა, რაც კოლოსალურ ცვლილებას წარმოადგენს (ცხრილი 6). ასეთი ძლიერი დაცემა გამოიწვია იმან, რომ მსოფლიოს მშპ ამ პერიოდში გაიზარდა დაახლოებით 21-დან 32 ტრილიონ დოლარამდე, ხოლო საქართველოში ეს მაჩვენებელი შემცირდა დაახლოებით 13 მლრდ დოლარიდან 3 მლრდ დოლარამდე. შესაბამისად, ასევე მასშტაბურად დაეცა საქართველოს ექსპორტის წილი მსოფლიო ექსპორტში, რომელმაც 2005 წ. მხოლოდ 0,01% შეადგინა.

აღნიშნული ცხრილი სხვა დასკვნების გამოტანის საშუალებასაც იძლევა. აშკარად ჩანს, რომ საქართველო ჯერ-ჯერობით ძალიან სუსტად არის ჩართული საერთაშორისო ეკონომიკაში. ეს ვლინდება როგორც მისი მეშ-ის მცირე წილით მსოფლიოს მეშ-ში, ასევე ყველა სხვა მონაცემებით (განსაკუთრებით ექსპორტისა და სავალუტო რეზერვების მონაცემებით). მაგრამ, რაც მთავარია, ვლინდება

საკუთარი შესაძლებლობების ძალიან სუსტად გამოყენებით, რაც კარგად ჩანს საქართველოსთან მოსახლეობით, ბუნებრივი პირობებით შესადარ ევროპის ისეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა შვეიცარია, ბელგია, ნიდერლანდები, დანია, ჩეხეთი. მაგალითად, ნიდერლანდების ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 58%-ს შეადგენს, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა აქ სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში. ამასთან, მისი მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2005 წ. იყო 397,4 მლრდ დოლარი, რუსეთისა – უფრო მცირე – 329,4 მლრდ დოლარი, ხოლო სავალუტო რეზერვები – შესაბამისად: 10,1 მლრდ დოლარი და 8,4 მლრდ დოლარი. მრავალ მცირე განვითარებულ ქვეყანასაც ანალოგიურად დიდი შედეგები აქვს, რასაც საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით აღწევენ.

ცხრილი 6

საქართველოს ადგილი მსოფლიო მეურნეობაში,
2005 წელს (მსოფლიო = 100)¹

ქვეყნები	მოსახლეობა	ტერიტორია	მთლიანი ეროვნული შემოსავალი	მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის 1 სულზე	მეშ მყიდვეუნარიანობის მიხედვით	მეშ/1 სულზე დოლ. მყიდვეუნარ.	ექსპორტი	სავალუტო რეზერვები მლნ.დოლარი,
საქართველო	0,084	0,052	0,0096	12,185	0,03	36,67	0,010	132
სომხეთი	0,062	0,022	0,0060	10,058	0,02	34817	0,005	319
აზერბაიჯანი	0,133	0,065	0,0167	11,604	0,05	46,977	0,0149	673
რუსეთი	2,40	12,783	0,7973	32,108	2,71	108,09	1,30	8457
თურქეთი	1,08	0,580	0,6348	59,961	1,01	94,87	0,80	23340
ბელგია	0,170	0,024	0,7196	474,661	0,62	370,71	2,83	10934
დანია	0,088	0,032	0,5154	624,371	0,32	366666	0,93	22287
ნიდერლანდები	0,264	0,030	1,1582	482,978	0,90	348,85	3,32	10018
ა.შ.შ.	4,648	7,010	31,237	659,574	21,40	460,18	13,8	60600
შვეიცარია	0,118	0,030	0,7613	737,717	0,46	410,93	1,78	36321

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკაში მონაწილეობა დღემდე შემცირების ტენდენციით ხასიათდება. ამას ექსპორტისა და სავალუტო რეზერვების

¹ წყარო: Доклад о мировом развитии 2007, გვ. 324-325.

დინამიკის შესწავლა გვიჩვენებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან მწვავედ დგას საქართველოს საგარეო ეკონომიკური სექტორის განვითარების პრობლემა. ზემოთ დასახელებული მცირე განვითარების ქვეყნები სწორედ საგარეო ეკონომიკური სექტორის მეშვეობით ახერხებენ ბაზრისა და მოთხოვნის გაფართოებას, მოსახლეობისა და საწარმოების მაღალი შემოსავლების საფუძველზე სხვა ქვეყნების რესურსების გამოყენებას და ამით ეროვნული ეკონომიკის განვითარებას ასტიმულირებენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსკავკასიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის თანდათან ამოქმედების გაძლიერებასთან, ნავთობის, გაზსადენების და კავშირგაბმულობის სისტემების განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ბიზნესში გაფართოვდება.

შეინიშნება საქართველოს პოზიციების შესუსტების ტენდენცია ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. მაგალითად, სომხეთის მშპ 1998 წ. შეადგენდა საქართველოს მშპ-ის 52,2%-ს, ხოლო 2005 წ. – 67,0%-ს. ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მიხედვით ეს მაჩვენებლები იყო შესაბამისად 40,8% და 110,0%, (ცხრილი 7). სომხეთი ამ მაჩვენებლის მიხედვით ბოლო წლებში მნიშვნელოვნად

ცხრილი 7

საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის
ეკონომიკური ზრდის ძირითადი მაჩვენებლები¹

№	მაჩვენებლები	ქვეყნები	1998	1999	2000	2005
1	2	3	4	5	6	7
1	მთლიანი შიდა პროდუქტი	სომხეთი	1892	1845	1912	2117
		აზერბაიჯანი	4447	4584	5273	5717
		საქართველო	3622	2836	3023	3159
2	მრეწველობის პროდუქცია	სომხეთი	517,3	529,7	557,1	552,3
		აზერბაიჯანი	3003,5	314,5	3728,3	3785,4
		საქართველო	875,8	869,8	971,0	1006,5
3	სოფლის მეურნეობის პროდუქცია	სომხეთი	796,4	582,5	521,2	632,1
		აზერბაიჯანი	1142,9	1148,8	1185,3	1265,7
		საქართველო	1200,7	918,3	778,4	867,8
4	ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	სომხეთი	15062	147,4	187,2	192,3
		აზერბაიჯანი	1424,8	1127,4	1081,6	1257,2
		საქართველო	367,7	180,6	176,6	174,8
5	ძირითადი ფონდების ამოქმედება	სომხეთი	122,2	105,3	165,9	136,9
		აზერბაიჯანი	459,9	643,8	745,2	695,4
		საქართველო	106,9	310,6	151,4	110,0

¹ Статистический ежегодник южно-кавказских стран. - Тбилиси, 2006, стр. 2-3, 267.

ცხრილი 7-ის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7
6	საცხოვრებელი ფართის ამოქმედება კვ. მეტრი	სომხეთი აზერბაიჯანი საქართველო	301,8 533,0 92,0	200,4 416,0 183,0	194,4 487,0 212,9	195,3 559,0 139,3
7	ექსპორტი	სომხეთი აზერბაიჯანი საქართველო	220,516 606,150 192,346	231,669 929,664 238,168	300,487 1745,220 329,873	342,817 2314,282 320,029
8	იმპორტი	სომხეთი აზერბაიჯანი საქართველო	902,389 1076,497 880,387	811,268 1038,589 601,939	884,733 1172,071 650,734	874,326 1430,877 684,098

უსწრებს საქართველოს და მომავალში ეკონომიკური ზრდის დაჩქარების უკეთეს ობიექტურ პირობას ქმნის. აღსანიშნავია ისიც, რომ თანაფარდობა სომხეთსა და საქართველოს შორის მრეწველობის პროდუქციის მიხედვით პირველის სასარგებლოდ არ შეცვლილა (შესაბამისად 59,0% და 54,8%). სამაგიეროდ მის სასარგებლოდ იცვლება თანაფარდობა სოფლის მეურნეობაში (66,3% და 72,8%) და მშენებლობაში: ძირითადი ფონდების ამოქმედების მაჩვენებლები 1998 წ. შეადგენდა 114,3%-ს, 2001 წ. – 124,4%-ს, ხოლო საცხოვრებელი ფართობის ამოქმედების მაჩვენებელი – 32,8%-სა და 140,2%-ს, ანუ ამ მაჩვენებლებით სომხეთი მნიშვნელოვნად უსწრებს წინ საქართველოს მაჩვენებლებს. ამასთან, სახეზეა სომხეთის საგარეო ეკონომიკური სექტორის უფრო დაჩქარებული განვითარებაც. სომხეთის ექსპორტის წილმა საქართველოს ექსპორტთან შედარებით 1998 წ. შეადგინა 114,6%, იმპორტის წილმა – 102,5%, ხოლო 2005 წ. – შესაბამისად: 107,1% და 127,8%. უცხოური ინვესტიციების მოზიდვითაც სომხეთი წინ უსწრებს საქართველოს. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სომხეთში 1998 წ. შეადგინა 232 მლნ დოლარი, საქართველოში – 50 მლნ დოლარი. ოფიციალურმა დახმარებამ განვითარების მიზნით 1999 წ. სომხეთში შეადგინა 208,5 მლნ დოლარი, მოსახლეობის ერთ სულზე – 54,7 დოლარი, საქართველოში – შესაბამისად: 238,6 მლნ დოლარი და 43,8 დოლარი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ სომხეთში 1999 წ. შეადგინა მშპ-ის 6,6%, საქართველოში – 3,0%. საბოლოო ანგარიშით, საგარეო-ეკონომიკური სექტორის ფუნქციონირება აისახება ქვეყნის საგადასახდლო ბალანსზე, კერძოდ, მის სავალუტო რეზერვებზე: სომხეთის სავალუტო რეზერვები 1999 წ. შეადგენდა 318 მლნ დოლარს, საქართველოსი – 132 მლნ დოლარს, ანუ პირველი მეორეს 2,4-ჯერ ჭარბობდა.

ცხრილიდან ჩანს, რომ იგივე ტენდენციები აღინიშნება აზერბაიჯანისა და საქართველოს ეკონომიკური და საგარეო ეკონომიკური განვითარების თანაფარდობაშიც. აზერბაიჯანის მშპ საქართველოს მშპ-ის მიმართ 1998 წ. შეადგენდა 122,7%-ს, 2005 წ. – 180,9%-ს, სამრეწველო პროდუქცია შესაბამისად: 342,9%-სა და 376,1%-ს, სოფლის მეურნეობის პროდუქცია - 95,1%-სა და 145,8%-ს, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში – 387,4%-სა და 719,2%-ს, ძირითადი ფონდების ამოქმედება – 430,2%-სა და 632,2%-ს, ექსპორტი – 315,2%-სა და 723,2%-ს, იმპორტი – 122,3%-სა და 209,2%-ს. საბოლოო ანგარიშით, ორივე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხასიათი აისახება მათი საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობაზე, რომელიც ყველაზე უკეთესად სავალუტო რეზერვების დინამიკით გამოისახება. აზერბაიჯანის სავალუტო რეზერვები 1999 წ. შეადგენდა 673 მლნ. დოლარს, საქართველოსი – 132 მლნ. დოლარს, ანუ პირველი მეორეს 5,1-ჯერ სჭარბობდა.

ამრიგად, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოზიციები, როგორც გლობალურად, ასევე ამიერკავკასიაში, საგრძნობლად დასუსტებულია და ამ პრობლემაზე ყურადღების კონცენტრაცია უაღრესად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. ასეთი ვითარების ძირითადი მიზეზები, ჩვენი აზრით, როგორც მიკროეკონომიკური, ასევე მაკროეკონომიკური ხასიათისაა. მიკროეკონომიკური მიზეზებიდან უნდა აღინიშნოს, პირველ რიგში, წარმოების ფაქტორების – შრომის, კაპიტალის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ძალიან დაბალი დონე, მენეჯმენტის ჩამორჩენილობა საწარმოებში, მათი მეცნიერულ-ტექნოლოგიური განუვითარებლობა, კონკურენციისა და შრომის მოტივაციის დაბალი დონე. მაკროეკონომიკური მიზეზებიდან უნდა გამოვეყთ სახელმწიფოს პოლიტიკის დაბალი ქმედითუნარიანობა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის, ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და საგარეო-ეკონომიკური სექტორების განვითარებისათვის.

სწორედ ეს ძირითადი მიზეზები განაპირობებს საგადასახდელო ბალანსის დინამიკასაც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დინამიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი ხასიათდება შემდეგი ძირითადი თავისებურებებით (ცხრილები 8 და 9):

ჯერ-ერთი, მისთვის დამახასიათებელია ძალიან ცვალებად-ტემპიანი დინამიკა. საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს ცვლილება თითქმის ემთხვევა მშპ-ის ზრდის ტემპის ცვლილებას, ანუ როდესაც ეს უკანასკნელი იზრდება, საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდო კლებულობს, ხოლო შემცირებისას, ამ უკანასკნელის სიდიდეც მატულობს. მაშასადამე, გრძელვადიან

პერიოდში საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირება მშპ-ის ზრდის ტემპის ამადლებას ემთხვევა.

ცხრილი 8

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი
1992-2001 წლებში (მლნ აშშ დოლარი)¹

მაჩვენებლები	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
1. მიმდინარე ანგარიში	-248	-353,9	276,0	-363,6	295,4	-499,1	-416,4	-195,1	-261,9	-211,4
სავაჭრო ბალანსი	-378	448,3	-363,2	-421,7	-313,3	675,2	760,4	-533,8	-506,1	549,4
მომსახურების ბალანსი	22,6	-17,1	-17,4	4,9	4,3	147,8	-55,2	-3,9	-8,7	77,1
შემოსავალი	36,4	-19,7	-35,4	-60,7	-70,5	127,4	190,8	147,0	117,5	32,4
ტრანსფერტები	71,2	131,2	170,0	113,9	84,1	196,4	208,7	195,7	135,4	228,5
2. კაპიტალური და ფინანსური ანგარიში	0,0	0,0	274,5	210,3	323,6	378,4	342,8	228,9	50,11	284,6
კაპიტალური ანგარიში	-	-	-	-	46,7	-6,5	-6,0	-7,0	0,0	-5,17
ფინანსური ანგარიში	-	-	-	-	276,9	399,0	348,8	235,9	50,11	289,8
პირდაპირი ინვესტიციები	-	-	-	-	-	242,6	265,3	158,7	131,7	109,9
პორფელური ინვესტიციები	-	-	-	-	-	2,40	0	0	2,7	0,1
სხვა ინვესტიციები	-	-	274,5	210,3	276,9	154,0	83,48	154,7	-84,3	179,8
3. წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	-	-	20,2	112,5	-27,8	120,7	5,9	-64,9	191,8	26,3
4. მთლიანი ბალანსი	247,7	-353,9	18,7	-40,8	0,4	0,0	-67,7	-30,4	-20,0	46,3
5. სარეზერვო აქტივების ცვლილება (+ შემცირება, - ზრდა)	247,7	353,9	-18,7	40,8	-0,4	0,0	67,7	30,4	20,0	-46,3

მეორე, გრძელვადიან პერიოდში აშკარად ჩანს საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირების ტენდენცია. მაგალითად, 1992 წ. იგი შეადგენდა 247,7 მლნ დოლარს, 1993 წ. – 353,9 მლნ დოლარს, შემდეგ 1997 წ. იგი ნულამდე დაეცა, 1998 წ. ზრდის ტემპის მკვეთრი შემცირებისა და ლარის დევალვაციის შემდეგ იგი გაიზარდა 67,7 მლნ დოლარამდე, ხოლო 2001 წ. პირველად 10 წლის განმავლობაში აღინიშნა მისი დადებითი სალდო 46,3 მლნ დოლარის ოდენობით.

¹ აქ საგადასახდელო ბალანსი წარმოდგენილია გამარტივებული სქემით. გაშლილი სახით იგი (1995–2001 წ.წ.) ასახულია მე-4 დანართში.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი
2002–2007 წლებში (ათასი აშშ დოლარი)¹

	2002	2003	2004	2005	2006	2007
მიმდინარე ანგარიში	-215 711,0	-383 329,9	-353 554,3	-709 482,4	-1 173 748,7	-2 005 873,6
ა. საქონელი	-489 003,9	-638 005,7	-915 539,8	-1 214 196,3	-2 019 354,3	-2 895 825,2
კრედიტი	603 333,9	830 555,1	1 092 111,4	1 472 437,3	1 666 525,9	2 088 284,8
დებეტი	-1 092 337,8	-1 468 560,8	-2 007 651,2	-2 686 633,5	-3 685 880,2	-4 984 110,0
ბ. მომსახურება	44 939,4	61 205,1	69 627,9	83 529,2	158 025,9	161 306,5
კრედიტი	408 362,1	457 954,8	554 762,0	715 043,4	885 033,9	1 094 070,2
დებეტი	-363 422,6	-396 749,7	-485 134,1	-631 514,2	-727 008,0	-932 763,7
გ. შემოსავალი	11 596,5	13 472,1	78 480,3	62 146,9	163 636,2	39 393,7
კრედიტი	160 598,6	177 374,2	251 740,2	263 325,2	341 139,1	481 784,5
დებეტი	-149 002,1	-163 902,0	-173 259,8	-201 178,2	-177 502,8	-442 390,8
დ. მიმდინარე ტრანსფერტები	216 757,0	179 998,6	413 877,3	359 037,6	523 943,4	689 251,4
კრედიტი	245 782,7	216 306,0	465 360,6	413 435,0	586 956,8	769 284,0
დებეტი	-29 025,7	-36 307,4	-51 483,4	-54 397,4	-63 013,4	-80 032,5
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	202 530,9	389 366,1	342 409,4	681 247,2	1 232 358,0	2 027 175,9
კაპიტალის ანგარიში	18 428,3	19 868,2	40 679,9	58 644,3	171 156,2	127 575,7
კრედიტი	27 066,2	27 877,4	44 122,5	61 571,4	172 194,8	127 880,8
დებეტი	-8 637,9	-8 009,2	-3 442,6	-2 927,1	-1 038,6	-305,1
ფინანსური ანგარიში	184 102,6	369 497,9	301 729,6	622 602,9	1 061 201,7	1 899 600,2
ა. პირდაპირი ინვესტიციები	156 119,5	330 886,6	482 758,9	542 229,6	1 185 908,8	1 675 747,7
საზღვარგარეთ	-4 092,5	-3 762,5	-9 570,5	89 477,3	15 831,4	-74 494,9
საზღვარგარეთიდან	160 212,0	334 649,1	492 329,4	452 752,3	1 170 077,4	1 750 242,6
ბ. პორტფელის ინვესტიციები	1,0	-9,0	-12 973,2	15 473,6	140 320,1	21 108,9
აქტივები	1,0	-9,0	-13 064,1	13 064,1	-2 188,5	-12 525,6
პასივები	0,0	0,0	90,9	2 409,5	142 508,6	33 634,5
გ. ფინანსური წარმოებულები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1 066,8

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ 2002 წლიდან საგადასახდელო ბალანსი დგება განსხვავებული მეთოდოლოგიით. აქ წარმოდგენილია მისი მარტივი სქემა, სრული ვარიანტი კი (2002–2007 წ.წ.) ასახულია მე-5 დანართში.

გ. ფინანსური წარმოებულები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1 066,8
აქტივები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	1 247,8
პასივები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	-181,0
დ. სხვა ინვესტიციები	59 712,6	20 116,6	9 822,9	175 469,8	173 610,0	578 704,0
აქტივები	-72 960,0	-15 159,1	-27 435,5	-16 198,2	-51 817,2	-202 342,0
პასივები	132 672,5	35 275,7	37 258,4	191 667,9	225 427,2	781 046,0
ე. სარეზერვო აქტივები	-31 730,4	18 503,7	-177 879,1	-110 570,1	-438 637,1	-377 027,1
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	13 180,2	-6 036,2	11 144,8	28 235,2	-58 609,2	-21 302,3
განსაკუთრებული დაფინანსება – სულ	223268,8	93001,4	144 117,6	142 513,8	116 211,2	178 742,6

მესამე, აღინიშნება მიმდინარე ბალანსის მუდმივად უარყოფითი სალდო. 2001 წ. მან 211,4 მლნ დოლარი და მშპ-ის მიმართ 8,6% შეადგინა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 2000 წ. ეს მაჩვენებელი პოლონეთში შეადგენდა 6,3%-ს, ჩეხეთში – 4,6%-ს, უნგრეთში – 3,8%-ს. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში იგი კიდევ უფრო მცირეა. მართალია ბალტიისპირეთის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შედარებით მაღალია (ესტონეთში – 6,6%, ლატვიაში – 7,0%, ლიტვაში – 5,3%), მაგრამ მათთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, მიმზიდველობის მაღალი დონის გამო კაპიტალის დადებითი ბალანსი ყოველთვის ფარავს მიმდინარე ბალანსის უარყოფით სალდოს და მათი სავალუტო რეზერვები საკმაოდ სოლიდურად გამოიყენება.

მეოთხე, დამახასიათებელია წმინდა შეცდომებისა და გამოტოვების მაღალი წილი: 1995 წ. მან მიმდინარე ბალანსის უარყოფითი სალდოს 31% შეადგინა, 1996 წ. – 9,4%, 1997 წ. – 1,4%, 1999 წ. – 33,3%, 2000 წ. – 73,8%, 2001 წ. – 12,4% და ა.შ. ცხადია, ეს მხოლოდ სტატისტიკური ცდომილებით არ შეიძლება აიხსნას. აქ ცხადად ჩანს აგრეთვე ჩრდილოვანი ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგად საქონლისა და კაპიტალის მოძრაობის დიდი მასშტაბები, რომლებიც ოფიციალურად არ აღირიცხება.

საერთოდ, ეროვნული სტატისტიკური მონაცემების პრობლემა საქართველოში კვლავ ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრიორიტეტულად მოსაგვარებელ პრობლემად რჩება, რადგანაც მცდარი სტატისტიკის ბაზაზე სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. მაგრამ საქართველოს ოფიციალური მონაცემები და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები ხშირად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან, რადგანაც უკანასკნელებს შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყნების მონაცემები შეაჯერონ და მაჩვენებლებიც უფრო ზუსტად გაიანგარიშონ. ერთი და იმავე მონაცემებზე განსხვავებული გაანგარიშების ნიმუშად შეიძლება შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ. მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, საქართველოს ექსპორტმა 2000 წ. შეადგინა 720 მლნ დოლარი, სომხეთის – 360 მლნ დოლარი, აზერბაიჯანის – 1010 მლნ დოლარი, მაშინ როდესაც ამ სახელმწიფოების ოფიციალური სტატისტიკით ეს მონაცემები შესაბამისად იყო: 192,3 მლნ დოლარი, 220 მლნ დოლარი და 606,1 მლნ დოლარი, ანუ გაცილებით უფრო მცირე. საქართველოს იმპორტმა იმავე წელს მსოფლიო ბანკის მონაცემებით, შეადგინა 1437 მლნ დოლარი, სომხეთის – 988,0 მლნ. დოლარი, აზერბაიჯანის – 2425 მლნ დოლარი. მაგრამ ამ ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკით ეს მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 880,4 მლნ დოლარი, 902,4 მლნ დოლარი და 1076,5 მლნ დოლარი.

განსხვავება საკმაოდ დიდია, რაც არაოფიციალური ვაჭრობის, კონტრაბანდის დიდ ნაკადებზე მიუთითებს.

მეხუთე, ნათლად ჩანს საგადასახდელო ბალანსის დაბალი კომპენსაციური პოტენციალი, ანუ მის გარკვეულ ელემენტებს შორის ურთიერთჩანაცვლების უნარის უკმარისობა, ფუნქციონალური ურთიერთკავშირის, მათ შორის ფულის ნაკადების მოძრაობის სისუსტე. იგი ვლინდება როგორც საგადასახდელო ბალანსის ძირითად კომპონენტებს – მიმდინარე ბალანსსა და კაპიტალის ბალანსს შორის ურთიერთკავშირის, აგრეთვე ამ კომპონენტების შიგნით ცალკეულ ელემენტებს შორის ჩანაცვლების შედარებით სუსტი უნარით. ცხრილი 8-დან ჩანს, რომ მიმდინარე ბალანსს, უწინარეს ყოვლისა, სავაჭრო ბალანსი განსაზღვრავს. მისი უარყოფითი სალდოს კომპენსირება ხდება, პირველ რიგში, ტრანსფერტებისა და შემოსავლების კომპონენტებით, რადგანაც მომსახურების ბალანსი საქართველოში ძალიან სუსტია. მაგრამ თვითონ შემოსავლების და ტრანსფერტების სტრუქტურა არარაციონალურია.

შემოსავლების უდიდესი ნაწილი მოიცავს საქართველოდან მიგრანტების მიერ სავალუტო გადმორიცხვებს, მაშინ როდესაც ინვესტიციური შემოსავლები, ანუ რეზიდენტების შემოსავლები თავისი უცხოური აქტივებიდან – დივიდენდების და სავროცენტო შემოსავლების სახით, ფაქტობრივად მინიმალურია. ამიტომ შემოსავლების მაკომპენსირებელი პოტენციალი სუსტია, არა მარტო მოცულობით, არამედ იმითაც, რომ იგი საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულეების შრომის ანაზღაურებაზეა დამოკიდებული. ეს ნათლად გამოჩნდა რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის დაწესებით, რის გამოც მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ ვეღარ შესძლო იქ ადრინდელივით მუშაობა. შედეგად თუკი შემოსავლების მუხლმა 2000 წ. 117,5 მლნ დოლარი შეადგინა, 2001 წ. იგი 32,4 მლნ დოლარამდე შემცირდა, რაშიც აღნიშნულმა მიზეზმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ტრანსფერტების სტრუქტურაში კი ჭარბობს საზღვარგარეთული გრანტები, რომლის შემოსვლა გარკვეულ პირობებთან არის დაკავშირებული და როდესაც გრანტი ვერ შემოდის, საქართველოს საგადასახდელო ბალანსზე ეს მწვავე ზემოქმედებას ახდენს. მაგრამ ამ ნაწილში მთავარი მაინც არის ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა. 90-ანი წლებიდან დღემდე იმპორტი 2-ჯერ და ზოგჯერ უფრო მეტადაც ჭარბობს ექსპორტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპორტის მაკომპენსირებელი უნარი იმპორტის მიმართ ძალიან დაბალია, რაც ქვეყნიდან ვალუტის მასშტაბური გადინების მიზეზია.

სერიოზული დისპროპორციებით ხასიათდება კაპიტალური და ფინანსური ანგარიშის მაკომპენსირებელი პოტენციალიც. აქ სუსტად არის წარმოდგენილი კაპიტალური ანგარიში, რადგანაც ჩვენი ძირითადი კაპიტალის შესყიდვა უცხოელი ინვესტიციების მიერ ინვესტიციური ტრანსფერტების იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომ მთელი სიმძიმე მიმდინარე უარყოფითი სალდოს საკომპენსაციოდ ფინანსურ ანგარიშს, ანუ პირდაპირი ინვესტიციების, პორტფელური ინვესტიციებისა და სხვა ინვესტიციების დინამიკაზეა დამოკიდებული. მაგრამ პირდაპირი ინვესტიციები 1998 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ მკვეთრად კლებულობს. 1998-2001 წლებში იგი 215,3 მლნ დოლარიდან 109,9 მლნ დოლარამდე შემცირდა. აღნიშნული ტენდენცია დღესაც გრძელდება, რაც ძირითადად საქართველოში დამკვიდრებული არასახარბიელო ინვესტიციური კლიმატით არის გამოწვეული. პორტფელური ინვესტიციები თითქმის არ ხორციელდება, რადგანაც ჩვენი საწარმოები უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველი არ არის. განვითარებულ ქვეყნებში კი სწორედ პირდაპირი ინვესტიციები და პორტფელური ინვესტიციები ქმნიან კაპიტალის ბალანსის ისეთ ძლიერ მაკომპენსირებელ პოტენციალს, რომელიც მიმდინარე ბალანსის უარყოფით სალდოს აწონასწორებს.

ასეთ პირობებში საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის მთავარ კომპონენტებად „სხვა ინვესტიციების“ მუხლი გადაიქცა, განსაკუთრებით კი მისი ისეთი ელემენტები, როგორცაა სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტებიდან. ეს კი საერთაშორისო გადახდების საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფის უქონლობის პირობებში, საგარეო ვალის დაგროვებას იწვევს.

შედარებისათვის, უნდა ითქვას, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნები საგადასახდელო ბალანსის მაღალი მაკომპენსირებელი პოტენციალით გამოირჩევიან. ამასთან, გავრცელებულია საგადასახდელო ბალანსის დინამიკის სხვადასხვა სცენარი, რომელსაც ასევე სხვადასხვა მაკომპენსირებელი პოტენციალი ახასიათებს. გერმანული ვარიანტისათვის დამახასიათებელია: სავაჭრო ბალანსის სოლიდური დადებითი სალდო საექსპორტო ექსპანსიის საფუძველზე; შემოსავლების უარყოფითი სალდო, გასტარბაიტერების გზავნილებისა და უცხოური ინვესტორების მიერ დივიდენდების გადარიცხვის გამო; მიმდინარე ტრანსფერენტების უარყოფითი სალდო, უპირატესად ევროკავშირის ორგანოების დაფინანსების, უცხო სახელმწიფოებისათვის სამეცნიერო, საქველმოქმედო, კულტურული ორგანიზაციებისათვის დახმარების, გრანტების გამოყოფის შედეგად. საბოლოოდ, უკანასკნელ პერიოდში ყალიბდება მიმდინარე ბალანსის

უარყოფითი სალდო, რომელიც იფარება კაპიტალის შემოდინებით, მაგრამ მისი სავალუტო რეზერვები 1990-2005 წლებში მაინც საგრძნობლად შემცირდა 104,5 მლნ დოლარიდან 61,0 მლრ. დოლარამდე (ცხრილი 10).

ცხრილი 10

ზოგიერთი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი, მიმდინარე ბალანსი და სავალუტო რეზერვები მლრდ დოლარში¹

ქვეყანა	ექსპორტი		იმპორტი		წმინდა შემოსავალი		მიმდინარე ბალანსი		სავალუტო რეზერვები	
	1990	2005	1990	2005	1990	2005	1990	2005	1990	2005
გერმანია	474,7	623,4	423,5	587,3	20,8	-9,2	48,3	-3,4	104,5	61,0
ჩინეთი	57,3	207,6	46,7	165,9	1,0	-16,6	12,0	29,3	34,5	157,7
ნიდერ-ლანდები	160,4	224,7	147,6	200,9	-0,6	8,9	9,2	25,6	34,4	10,1
რუსეთი	53,9	87,7	48,9	74,1	-4,5	-12,0	0,4	1,2		8,4
ა.შ.შ.	536,0	933,9	616,0	1098,1	28,4	-12,2	-79,3	-220,5	173,1	60,5
იაპონია	323,7	436,4	297,3	363,5	22,5	56,6	44,0	120,7	87,8	286,9

იაპონური მოდელი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: ძალიან მაღალი დადებითი სავაჭრო სალდო მასშტაბური ექსპორტის საფუძველზე; შემოსავლების მნიშვნელოვანი დადებითი სალდო, უპირატესად საზღვარგარეთიდან მიღებული დივიდენდებისა და საპროცენტო შემოსავლების საფუძველზე; შედარებით მცირე მოცულობის მიმდინარე ტრანსფერტების უარყოფითი სალდო; ძალიან მასშტაბური მოცულობის მიმდინარე ბალანსი; აქტიური მონაწილეობა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში; სავალუტო რეზერვების ძალიან მაღალი დონე, რომელიც 2,5-2,8-ჯერ აღემატება სხვა განვითარებული ქვეყნების სავალუტო რეზერვების მოცულობას. ამ მოდელის ანალოგიურია ჩინეთის, ტაივანის, სამხრეთ კორეის, სინგაპურის მოდელებიც.

ამერიკული მოდელისათვის ნიშანდობლივია: მნიშვნელოვანი უარყოფითი სავაჭრო სალდო; შემოსავლებისა და ტრანსფერტების უარყოფითი სალდო; მიმდინარე ბალანსის საკმაოდ მასშტაბური უარყოფითი სალდო; კაპიტალის ბალანსის მასშტაბური დადებითი სალდო, რაც მიმდინარე ბალანსის უარყოფითი სალდოს დიდი ნაწილის დაფარვის საშუალებას იძლევა, თუმცა ამას თან ახლავს სავალუტო რეზერვების შემცირება.

ნიდერლანდების მოდელისათვის დამახასიათებელია: დადებითი სავაჭრო

¹ Доклад мировом развитии 2007, стр. 324-325.

საღდო, შემოსავლებისა და ტრანსფერტების მცირე ზომის უარყოფითი საღდო; მიმდინარე ბალანსის დადებითი საღდო; კაპიტალის უარყოფითი საღდო, რადგანაც ქვეყანა ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და პორტფელური ინვესტიციების გატანის სფეროში; საბოლოოდ, სავალუტო რეზერვები გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ქვეყანა უპირატესობას კაპიტალის გატანას ანიჭებს.

რუსეთის მოდელის ძირითადი ნიშნებია: დადებითი სავაჭრო ბალანსი, ნავთობის ექსპორტის საფუძველზე; უმნიშვნელო უარყოფითი საღდო შემოსავლებისა და ტრანსფერტების სფეროში; მიმდინარე ბალანსის მცირე დადებითი საღდო; კაპიტალის მნიშვნელოვანი გაქცევა ქვეყნიდან მისი არასახარბიელო ინვესტიციური კლიმატის გამო; სავალუტო რეზერვების შედარებით მცირე მოცულობა.

ამ მოდელების ფონზე საინტერესოა აღმოსავლეთ ევროპისა და ამიერკავკასიის სახელმწიფოების მოდელების განხილვა (ცხრილი 11).

ცხრილი 11

აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე ოპერაციების ბალანსის დინამიკა (მლნ დოლარი)

ქვეყნები	1993	1994	1995	2000	2001	2002	2003	2004	2005
1.აღმოსავლეთ ევროპა (პოსტ-სოციალისტური ქვეყნები)	-909	-7896	-2705	-1894	-13	-14	-17	-20	-18
2.პოსტსაბჭოთა ქვეყნები:									
ესტონეთი	36	22	-167	-158	-398	-563	-478	-294	-391
ლატვია	191	417	201	-16	-279	-345	-650	-646	-500
ლიტვა	321	-86	-94	-614	-723	-981	-1298	-1194	-600
სომხეთი	-50	-67	-104	-218	-291	-307	-403	-307	-300
აზერბაიჯანი	488	-160	-121	-401	-931	-916	-1365	-600	200
ბელორუსია	131	-435	-444	-458	-516	-788	-866	-194	-162
საქართველო	-248	-354	-277	-216	-275	-355	-416	-195	-200
ყაზახეთი	-1900	-641	-905	-213	-751	-799	-1236	-233	1200
ყირგიზეთი	-61	-88	-84	-235	-425	-138	-371	-185	-100
მოლდოვა	-152	-155	-82	-95	-192	-275	-327	-34	-120
რუსეთი	1142	12792	8360	7401	11753	2060	721	25049	46000
ტაჯიკეთი	-53	-208	-170	-89	-70	-56	-120	17	100
თურქმენეთი	926	776	84	23	0	-580	-934	-851	100
უკრაინა	-526	-765	-1163	-1152	-1184	-1335	-1296	834	1700
უზბეკეთი	-236	-429	118	-21	-980	-584	-102	-176	50

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ქრონიკულად უარყოფითი მიმდინარე ბალანსი, თუმცა ბოლო წლებში შეინიშნება მათი მოცულობის შემცირების ტენდენცია ექსპორტის ზრდის კვალობაზე. ამასთან, ეს ქვეყნები, განსაკუთრებით უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, წარმატებული რეფორმების შედეგად გახდა მიმზიდველი დასავლეთის კაპიტალისათვის. კაპიტალის შემოსვლა ფარავს უარყოფით მიმდინარე ბალანსს და ამავდროულად ისინი საგალუტო რეზერვებსაც აფართოებენ. იგივე უნდა ითქვას ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, თუმცა თავის მასშტაბებთან შედარებით ეს ქვეყნები მიმდინარე ბალანსის უარყოფითი სალდოს საკმაოდ დიდი მასშტაბებით გამოირჩევიან. უარყოფითი მიმდინარე ბალანსით გამოირჩევა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდი ნაწილიც. მაგრამ, ნავთობის, გაზის, სხვა წიაღისეულის მქონე ქვეყნები (რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი) დადებითი სალდოთი ხასიათდებიან. ნიშანდობლივია 2004-2005 წლებში უკრაინის დადებითი სალდო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ქვეყანა გამოვიდა ხანგრძლივი კრიზისიდან და ეკონომიკური ზრდის გზას დაადგა.

რაც შეეხება ამიერკავკასიის სახელმწიფოებს, აქ ასეთი ტენდენციებია. ყველა სახელმწიფო ხასიათდება მიმდინარე ბალანსის უარყოფითი სალდოთი, რომელიც მშპ-ის მიმართ მაღალია: სომხეთისათვის (14%) და საქართველოსათვის (8,5%), ხოლო აზერბაიჯანისათვის ნორმალურ ფარგლებშია (2,9%). ამიტომ კაპიტალის დადებითი ბალანსი სომხეთისათვის და საქართველოსათვის ვერ ფარავს მიმდინარე ბალანსის მნიშვნელოვან უარყოფით სალდოს. ამასთან, საქონლის ბალანსში მნიშვნელოვნად ჩანს აზერბაიჯანის ძლიერ დადებითი სალდო, რაც ნავთობის ექსპორტით არის გამოწვეული. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ექსპორტის ჩამორჩენა საქართველოში სომხეთთან შედარებით (შესაბამისად 320,0 მლნ დოლარი და 342,8 მლნ დოლარი 2000 წ.), რაც არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ (ცხრილი 12).

ასევე გამოკვეთილად ჩანს საქართველოს ჩამორჩენა მომსახურეობისა და მიმდინარე ტრანსფერტების სფეროში ამ სახელმწიფოებთან შედარებით. მართალია, ყველა ამ სახელმწიფოში კაპიტალის ანგარიში ფარავს მიმდინარე ანგარიშის უარყოფით სალდოს, მაგრამ ყურადღებას იქცევს პირდაპირი ინვესტიციების და პორტფელური ინვესტიციების ძალიან მცირე მასშტაბები, რაც ამ ქვეყნების მცირე ინვესტიციურ მიმზიდველობაზე და ეკონომიკური ზრდის ძალიან დაბალ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს.

ამიერკავკასიის სახელმწიფოების საგადასახდელო
ბალანსი მლნ დოლარი¹

№	ქვეყნები	1998	1999	2000	2005
1	2	3	4	5	6
1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიში					
	სომხეთი	-306,5	-403,0	-306,9	-278,4
	აზერბაიჯანი	-915	-1364,5	-59967	-167,8
	საქართველო	-513,9	-275,6	199,6	-268,9
1.1. საქონელი					
	სომხეთი	-559,5	-577,5	-474,0	-463,5
	აზერბაიჯანი	-566,7	-1046,2	-408,2	319,3
	საქართველო	-786,3	-694,6	-533,9	-511,5
1.2. მომსახურება					
	სომხეთი	-62,8	-63,3	-62,0	-55,8
	აზერბაიჯანი	-384,1	-369,1	-228,3	-224,7
	საქართველო	-51,3	19,8	-8,4	-9,8
1.3. შემოსავლები					
	სომხეთი	98,5	60,4	54,9	52,9
	აზერბაიჯანი	-9,5	-13,3	-45,0	335,4
	საქართველო	127,4	190,9	146,9	117,5
1.4. მიმდინარე ტრანსფერტები					
	სომხეთი	217,2	177,4	174,1	188,1
	აზერბაიჯანი	44,8	64,0	81,7	73,0
	საქართველო	-9,0	-11,8	-33,0	-28,3
2. კაპიტალური და ფინანსური ანგარიში					
	სომხეთი	298,3	399,3	294,5	261,3
	აზერბაიჯანი	1194,3	1365,8	828,2	442,0
	საქართველო	373,3	460,6	237,6	66,5
2.1. კაპიტალური ანგარიში					
	სომხეთი	10,9	9,7	12,6	28,3
	აზერბაიჯანი	-10,4	-0,7	-	-
	საქართველო	-6,5	-6,1	-7,1	-4,8
2.2. ფინანსური ანგარიში					
	სომხეთი	287,4	389,6	281,9	233,0
	აზერბაიჯანი	1204,6	1366,5	828,2	441,9
	საქართველო	379,8	466,6	244,7	71,3
2.2.1. პირდაპირი ინვესტიციები					
	სომხეთი	51,9	220,8	122,0	104,2
	აზერბაიჯანი	1050,6	948,2	255,3	29,2
	საქართველო	242,6	265,3	81,2	131,7
2.2.2. პორტფელური ინვესტიციები					
	სომხეთი	15,8	-15,9	1,6	-18,9
	აზერბაიჯანი	1,1	0,4	-	-
	საქართველო	2,4	-	0	2,7

¹ Статистический ежегодник южно-кавказских стран. - Тбилиси, 2006, стр. 264-266.

1	2	3	4	5	6
2.2.3. სხვა ინვესტიციები					
	სომხეთი	290,6	237,2	178,8	166,9
	აზერბაიჯანი	88,7	343,1	317,9	312,8
	საქართველო	148,9	128,7	159,9	-83,2
3. სარეზერვო აქტივები					
	სომხეთი	-71,0	-52,5	-20,6	-19,2
	აზერბაიჯანი	-244,2	18,7	-228,5	-274,2
	საქართველო	-14,1	72,6	3,5	20,0
4. წმინდა შეცდომები და გამოტოვებები					
	სომხეთი	8,3	3,6	12,5	17,0
	აზერბაიჯანი	-34,4	-19,9	-	-
	საქართველო	140,5	185,0	-38,1	202,4

ნიშანდობლივია აგრეთვე ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი ჩამორჩენა სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით, რაც ძირითადად იმით აიხსნება, რომ საქართველოში საგარეო ვალის მომსახურებაზე მის მშპ-თან შედარებით საკმაოდ დიდი სავალუტო რესურსები იხარჯება და იგი ქვეყნიდან გადის.

ასევე, დამახასიათებელია წმინდა შეცდომებისა და გამოტოვებების ძალიან დიდი მოცულობანი საქართველოში – 202,4 მლნ დოლარი 2005 წ., მაშინ როდესაც სომხეთში მან მხოლოდ 17,0 მლნ დოლარი, ანუ საქართველოს მაჩვენებლის მხოლოდ 8,4% შეადგინა.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ ინსტიტუციურად მოუწყობელია საქართველოს საგარეო ანგარიშსწორების სფერო, რაოდენ დიდია აქ ჩრდილოვანი ეკონომიკის, კონტრაბანდის მასშტაბები და რაოდენ დაბალია ადმინისტრირების დონე.

ყოველივე ამის შემდეგ უპრიანია საქართველოს საგადასახდელო ბალანსის უფრო დეტალური ანალიზი და შეფასება.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე უარყოფითი სალდოთი ხასიათდება. მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა სალდომ მაქსიმალურ ნიშნულს 1997 წელს მიაღწია და შეადგინა 499 მლნ აშშ დოლარი. საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდო უმთავრესად დანგრეული ეკონომიკური კავშირების, ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის, გადატანილი ომების, მცირე შიდა ბაზრის, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის მსყიდველუნარიანობის დაბალი დონის, ენერგორესურსებზე დამოკიდებულების, საკმაოდ მოცულობითი საგარეო ვალის და, აქედან გამომდინარე, წარმოების განუვითარ-

რებლობის, ექსპორტის ზრდის დაბალი ტემპის გამო გამოწვეული სავაჭრო ბალანსის ქრონიკული დეფიციტის შედეგია.

1992 წლიდან 1995 წლამდე იკვეთებოდა მატების ტენდენცია. 1992 წლიდან სავაჭრო ბრუნვა კოლოსალურად გაიზარდა 1183 მლნ აშშ დოლარამდე. მართალია 1995 წლისთვის ეს მონაცემი შემცირდა, მაგრამ ეს უფრო ეკონომიკური კრიზისის შედეგი იყო. საქართველოს სავაჭრო ბალანსი გაუარესდა. გაუარესდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც. სრულიად გამოირიცხა საწარმოო ტექნოლოგიური პროდუქცია. ამ პერიოდში გაუმჯობესდა საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა გაიზარდა ბრუნვა ევროკავშირთან, აშშ-სთან, იაპონიასთან. გააქტიურდა სასესხო კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში (ძირითადად გრძელვადიანი კრედიტები), ბოლოს, მომსახურების მოცულობაც გაიზარდა და 1995 წელს მომსახურების ბალანსის დადებითი სალდო აღინიშნა (ცხრილი 8). გაიზარდა პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი აშშ-დან, გერმანიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, მსოფლიო ბანკიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინვესტიციები მოხმარდა არა კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების ამოცანების გადაწყვეტას, არამედ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, საინფორმაციო კომუნიკაციების, სოფლის მეურნეობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ჯანდაცვის, კულტურის სფეროების განვითარებას.

პირდაპირმა ინვესტიციებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს საგადასახდელო ბალანსზე, მის დინამიკასა და გაწონასწორებაზე, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, სავაჭრო ბალანსის სალდო დიდი დეფიციტით ხასიათდებოდა.

1995 წლიდან 1998 წლამდე საქართველოს საგადასახდელო ბალანსი ძალზე გაუარესდა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ დროს მშპ-ს ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნა (რასაც მხარი ვერ აუბა ექსპორტის ზრდამ), ეს გაუარესება გადაფარა კაპიტალური და ფინანსური ანგარიშის ზრდამ. ეს იყო მიზეზი ფიქსირებული კურსის შენარჩუნებისა და ინფლაციის მოთოკვისა, რის გარეშეც პირდაპირი ინვესტიციები ქვეყანაში არ შემოვიდოდა.

აღსანიშნავია, რომ 1998 წლიდან საქართველო გადავიდა მცურავ სავალუტო კურსზე, რადგანაც საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ქვეყნის სავალუტო რეზერვები. ამ ეტაპიდან აღინიშნა საგარეო ვაჭრობის სფეროში ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა, სავაჭრო ბალანსში მისი ხვედრითი წილის ამაღლება. იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი გაიზარდა და 2000 წელს 50,7%-ს მიაღწია. ექსპორტი

გაიზარდა ევროკავშირთან, დსთ-თან, თურქეთთან. ამავე დროს სახეზეა კაპიტალის შემოდინების ტემპის შენელება. უმთავრეს პრობლემად გადაიქცა კრედიტების და სახელმწიფო ვალის მომსახურება.

განსაკუთრებულ ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2003–2007 წლებისათვის.

ზოგადი მიმოხილვა. საქართველოს ეკონომიკის ზრდამ 2007 წელს მნიშვნელოვან მაჩვენებელს მიაღწია, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპმა 12.4 პროცენტი შეადგინა. მშპ-ის ზრდის ტემპი ორნიშნა რიცხვით, გარდა 2007 წლისა, სულ 2-ჯერ დაფიქსირდა: 1997 წელს, როდესაც ის 10.5 პროცენტი იყო და 2003 წელს – 11.1 პროცენტი. 2006-2007 წლები გამოირჩეოდა უცხოელი ინვესტორების აქტიურობით. ამ ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში განხორციელდა თითქმის 3 მლრდ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 1995-2005 წლებში დაბანდებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. 2007 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1.75 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციების შემოდინებამ და ეკონომიკის ზრდამ, ბუნებ-რივია, გამოიწვია საგარეო სექტორის გააქტიურება, რის შედეგადაც გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის ყველა მაჩვენებელი – როგორც კრედიტული, ისე დებეტური, რამაც გამოიწვია საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ზრდა. ეს პარამეტრი 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, 5.2-ჯერ, ხოლო 2006 წელთან შედარებით 70.9 პროცენტით გაიზარდა და 2005.8 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. შედეგად, თუ 2003 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 9.6 პროცენტს შეადგენდა, 2006 წელს 15.1 პროცენტს, 2007 წელს 19.7 პროცენტს გაუტოლდა.

2003–2007 წლებში არსებითად განვითარდა საქონლით საგარეო ვაჭრობა. გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტის, ისე იმპორტის მაჩვენებლები. საქონლის ექსპორტი 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, 2.5-ჯერ გაიზარდა და 2088.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის ზრდის ტემპი 2003–2005 წლებში სტაბილური იყო და, საშუალოდ, წელიწადში 34.6 პროცენტს შეადგენდა. 2006 წელს რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს გავლენით საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპი 13.2 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2007 წელს კვლავ გაიზარდა 25.3 პროცენტამდე. აღნიშნულ პერიოდში მატულობდა მომსახურების ექსპორტი, რომლის მოცულობამ 2007 წელს 1094.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2003 წლის მონაცემზე 2.4-ჯერ მეტია. 2007 წელს ძირითადი საექსპორტო საქონელი იყო

ფეროშენადნობები, შავი ლითონების ჯართი და სპილენძის მადნები და კონცენტრატები. ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ჭრილში ექსპორტი შემდეგნაირად გამოიყურება: ყველაზე დიდი წილი – 63.2 პროცენტი უჭირავს შუალედური მოხმარების საქონელს, 32.2 პროცენტი – სამომხმარებლო საქონლის ექსპორტს, ხოლო საინვესტიციო საქონლის ექსპორტის მაჩვენებელი მხოლოდ 4.5 პროცენტია.

2003-2007 წლებში კიდევ უფრო მაღალი ტემპით იზრდებოდა საქონლის იმპორტის მოცულობა, რომელიც ამ პერიოდში 34 პროცენტიდან 37 პროცენტამდე მერყეობდა. ზრდის ასეთი მაღალი ტემპის პირობებში საქონლის იმპორტმა 2007 წელს 4984.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა – 3.4-ჯერ მეტი 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით. იმპორტის წინმსწრები ტემპით ზრდამ, ექსპორტთან შედარებით, გამოიწვია უარყოფითი სავაჭრო სალდოს ზრდა, რომელმაც 2007 წელს თითქმის 2.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. 2007 წელს იმპორტის 15 პროცენტი საინვესტიციო საქონელს ეკავა, 49 პროცენტი - შუალედური მოხმარების საქონელს, ხოლო სამომხმარებლო საქონლის წილად 36 პროცენტი მოდიოდა. შეიძლება ითქვას, რომ წარმოებაზე ორიენტირებულ საქონლის იმპორტს მთლიანი იმპორტის 64 პროცენტი უჭირავს (ცხრილი 13).

ცხრილი 13

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განზოგადებული მაჩვენებლები
(მოქმედ ფასებში, მლნ აშშ დოლარი)¹

	2003	2004	2005	2006	2007
ექსპორტი	461.4	646.9	865.5	936.2	1 232.4
იმპორტი	1 141.2	1 845.6	2 490.0	3 677.7	5 214.9
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	1 602.6	2 492.5	3 355.4	4613.9	6 447.3
საგარეო სავაჭრო ბალანსი	-679.8	-1 198.7	-1 624.5	-2 741.6	-3 982.5

საანალიზო პერიოდში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის, იმპორტთან შედარებით, დაბალი ტემპით ზრდამ მათი თანაფარდობის გაუარესება გამოიწვია იმპორტის სასარგებლოდ. კერძოდ, თუ 2003 წელს საქონლისა და მომსახურების ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტი 69.1 პროცენტს უდრიდა, 2007

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული: 2007 / საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. – თბ., 2008. გვ. 277.

წელს აღნიშნული მაჩვენებელი 15.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე პერიოდში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები. თუ 2003 წელს ადგილი ჰქონდა საერთაშორისო რეზერვების 18.5 მლნ აშშ დოლარით შემცირებას, 2004-2007 წლებში სურათი რადიკალურად შეიცვალა და რეზერვების ზრდამ 1104.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რის შედეგადაც, თუ 2003 წელს რეზერვების ხარჯზე ქვეყანას შეეძლო 1.3 თვის ექვივალენტური მოცულობის საიმპორტო პროდუქციის შესყიდვა, 2006 წელს, საერთაშორისო რეზერვების ხარჯზე, იგი უკვე 2.5 თვის, ხოლო 2007 წელს – 2.8 თვის ექვივალენტურ საიმპორტო პროდუქციას შეიძენდა, რაც სავსებით აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

რაც შეეხება ქვეყნის მთლიან საგარეო ვალს, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი კომპონენტია საგარეო სექტორის სტატისტიკაში, 2007 წელს, წინა წელთან შედარებით, 50 პროცენტით გაიზარდა და 5318 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აქედან, სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა 109 მლნ აშშ დოლარია. სახელმწიფო სექტორის ვალი 2007 წელს 6 პროცენტით გაიზარდა და, 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1837 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2007 წელს საბანკო სექტორმა მნიშვნელოვანი საკრედიტო რესურსების მოზიდვა საზღვარგარეთიდან მოახდინა, რის შედეგადაც მათი საგარეო დავალიანება 2.4-ჯერ გაიზარდა და, 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1295 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი ინვესტირების საწარმოებმა, ასევე, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები მიიღეს თავიანთი პირდაპირი ინვესტირებისაგან, და ასეთი დავალიანება 2007 წლის განმავლობაში 827 მლნ აშშ დოლარიდან 1686 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

მიმდინარე ანგარიში. 2003–2007 წლებში სავაჭრო დეფიციტი იზრდებოდა და 2007 წელს 2895.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებს 43.4 პროცენტით აღემატება.

საგადასახდელო ბალანსში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის 95-98 პროცენტს შეადგენს ექსპორტი და იმპორტი ზოგად ვაჭრობაში, რაც, ძირითადად, განსაზღვრავს მთლიანად საქონლის ექსპორტის, იმპორტის და, შესაბამისად, სავაჭრო ბალანსის ცვლილების ტენდენციას. აქ აღინიშნება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის ზრდა. ვინაიდან საქონლით ვაჭრობაში ექსპორტის ზრდის ტემპი ჩამოუვარდება იმპორტის ზრდის ტემპს, შესაბამისად, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი იზრდება და მისი ზრდის ტემპი 2003-2006 წლებში 30.5 პროცენტიდან 66.3 პროცენტამდე, ხოლო 2007 წელს საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სადღო, წინა წელთან შედარებით, 43.4 პროცენტით გაიზარდა.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული ექსპორტისა და იმპორტის ზრდის მაღალი ტემპი დაფიქსირდა. თუმცა, იმპორტის წინმსწრები ტემპით ზრდამ ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტის თანდათან შემცირება გამოიწვია და მან 2007 წელს 23.6 პროცენტი შეადგინა, 2003 წლის 40.4 პროცენტის ნაცვლად. შესაბამისად, იზრდებოდა სავაჭრო დეფიციტი, რომელიც რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის მონაცემების მიხედვით, 2007 წელს, 2003 წელთან შედარებით, 5.8-ჯერ გაიზარდა.

2007 წელს რეგისტრირებული იმპორტის მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 41.8 პროცენტით, ხოლო ექსპორტის მოცულობა 31.6 პროცენტით გაიზარდა. იმპორტი ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებთან 32-39 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის ყველაზე მეტად - 39.4 პროცენტით – ევროკავშირთან, რომლის იმპორტის წილი ქვეყნის მთლიან იმპორტში თითქმის არ შეცვლილა და 29.5 პროცენტია. ქვეყანათა ჯგუფებიდან იმპორტი ყველაზე ნაკლებად (32.2 პროცენტით) დსთ-დან გაიზარდა, საიდანაც იმპორტის წილი 2007 წელს მთლიანი იმპორტის 35.5 პროცენტს შეადგენს.

ქვეყანათა ჯგუფებიდან ექსპორტი, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (56.8 პროცენტით) გაიზარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან, ძირითადად, თურქეთთან, აშშ-სა და კანადასთან ექსპორტის გამო, რომელთა წილად მოდის ამ ჯგუფთან ექსპორტის 63.9 და მთლიანი ექსპორტის 31.8 პროცენტი.

სავაჭრო დეფიციტის ზრდა, წინა წელთან, 2003–2007 წლებში 36-76 პროცენტს შორის მერყეობდა და 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, 45.3 პროცენტით გაიზარდა. საქართველოს უმთავრეს 20 სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას შორის დადებითი სავაჭრო ბალანსია სომხეთსა და კანადასთან. ეს მაჩვენებელი 2007 წელს მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს და მათთან შედარებით სომხეთთან 54 პროცენტით, ხოლო კანადასთან 69 პროცენტით გაიზარდა. 2002-2004 წლებში საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა თურქმენეთთანაც, რომელთანაც დადებითმა სალდომ აღნიშნულ 3 წელიწადში 148 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. 2005–2007 წლებში თურქმენეთთან უკვე უარყოფითი სალდო ფიქსირდება და 2007 წელს ამ ქვეყანასთან სავაჭრო დეფიციტმა 123 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, 4-ჯერ მეტია.

საინტერესო სურათს იძლევა საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ჭრილში განხილვა. 2005 წლის ჩათვლით, საქართველოს ძირითადი საექსპორტო

პროდუქცია იყო შავი ლითონების ჯართი. ამ მხრივ, მდგომარეობა უმნიშვნელოდ შეიცვალა და, 2006 წლის მონაცემებით, მას მხოლოდ მესამე, ხოლო 2007 წლის მიხედვით, მეორე პოზიცია უჭირავს. შავი ლითონების ჯართის ყველაზე დიდი მოცულობის ექსპორტი 2004 წელს დაფიქსირდა და მთელი ექსპორტის 15 პროცენტი შეადგინა. 2005 წელს ის 10 პროცენტამდე, ხოლო 2006–2007 წლებში 7 პროცენტამდე შემცირდა, თუმცა, ბოლო წელს იგი საკმაოდ სოლიდური მოცულობით – 96.8 მლნ აშშ დოლარით არის წარმოდგენილი. უკანასკნელი 2 წლის მონაცემების მიხედვით, პირველი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფია ფეროშენადნობები. 2007 წელს მისმა ექსპორტმა 159.6 მლნ აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 13.0 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის ექსპორტს 1.8-ჯერ აღემატება. მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები, რომლის წილმაც 2007 წლის მთლიან ექსპორტში 6.4 პროცენტი შეადგინა. ექსპორტში მეოთხე პოზიციაზე მსუბუქი ავტომობილების, თანაც საკმაოდ სოლიდური ოდენობით - 70.2 მლნ აშშ დოლარით გამოჩენა, რეექსპორტის ხარჯზეა. გარდა ავტომობილების არაორგანიზებული ექსპორტისა, რომლითაც კერძო პირები არიან დაკავებული, 2006 წლიდან უკვე ადგილი აქვს სერიოზული ფირმების მიერ ორგანიზებულ რეექსპორტს. ძირითადად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი ხორციელდება მეზობელ ქვეყნებში – აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში. მეხუთე ადგილი ექსპორტში უჭირავს ნახევრადდამუშავებულ ოქროს, რომლის ექსპორტიც 2007 წელს, წინა წელთან შედარებით, 1.4-ჯერ არის გაზრდილი. კვლავ მნიშვნელოვანი წილი უკავია საქონლის ჯგუფის “კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი” ექსპორტს, რომელშიც, ძირითადად, თხილი შედის. 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, 2.2-ჯერ არის გაზრდილი ცემენტის ექსპორტი და 64.0 მლნ აშშ დოლარით მეშვიდე ადგილზეა.

2007 წელს იმპორტში ყველაზე დიდი წილი ენერგომატარებლებს უკავიათ. სასაქონლო ჯგუფებში 10.7 პროცენტით პირველ ადგილზეა ნავთობპროდუქტები, ხოლო მესამე ადგილზე – აირისებრი ნახშირწყალბადები 5.6 პროცენტით. თუ მათ დაუვმატებთ ელექტროენერჯის იმპორტს, რომელიც ათეულში არ მოხვდა, მაგრამ იმპორტში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს, შეიძლება ითქვას, რომ ენერგომატარებლების იმპორტი 864 მლნ აშშ დოლარია და მთელი იმპორტის 16.6 პროცენტს შეადგენს. ენერგომატარებლების იმპორტი, ასევე, მაღალი იყო წინა წლებშიც და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მისი წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში ყველაზე მაღალი იყო 2005 წელს – 18.8 პროცენტი, ხოლო ყველაზე დაბალი 2004 წელს – 16.2 პროცენტი.

მეორე პოზიცია იმპორტში, დაწყებული 2004 წლიდან, მსუბუქ ავტომობილებს უჭირავთ. საკმაოდ შთამბეჭდავია მსუბუქი ავტომობილების იმპორტის ზრდის ტემპები 2003-2007 წლებში. თუმცა, 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, მისი იმპორტის 1.3-ჯერ ზრდის 70 პროცენტი ფასების ზრდაზე მოდის. ასევე, აღსანიშნავია ძირითად საიმპორტო ათეულში სატვირთო ავტომობილების მოხვედრა. მათი იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო ორ წელს და 2007 წელს 46.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.

სხვა ძირითად საიმპორტო საქონელს, როგორებიცაა სამკურნალო საშუალებები, ხორბალი, შაქარი, გამომთვლელი მანქანები და სხვა, მეტ-ნაკლებად სტაბილური პოზიციები უჭირავთ და რაიმე განსაკუთრებული რყევებით არ გამოირჩევიან. გამონაკლისს წარმოადგენს სასაქონლო ჯგუფი “წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან”, რომლის იმპორტი 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, 2.2-ჯერ გაიზარდა და 71.9 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

მომსახურების საგარეო სავაჭრო ბალანსი, რომელიც წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, 2003-2007 წლებში დადებითია. მომსახურების ბალანსი 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით 2.1 პროცენტით გაიზარდა და 161.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 1.6 პროცენტია.

2003-2007 წლებში იზრდებოდა როგორც მომსახურების ექსპორტი, ასევე იმპორტი. 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 23.6 პროცენტით და 1094.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი – 28.3 პროცენტით და -932.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანი დადებითი სალდოთი და ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩევა ტურისტული მომსახურება, რომელმაც 2007 წელს 142.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28,9 პროცენტით მეტია მთლიანი მომსახურების ბალანსზე და, 2006 წელთან შედარებით, 42.5 პროცენტით, ხოლო 2003 წელთან შედარებით 12,3-ჯერ არის გაზრდილი. 2007 წელს მომსახურების შედარებით მაღალი დადებითი ბალანსი ჰქონდა სამთავრობო მომსახურებას (57.4 მლნ აშშ დოლარი), უარყოფითი სალდო – სადაზღვევო (-97.8 მლნ აშშ დოლარი) და სხვა საქმიან მომსახურებას (-14.5 მლნ აშშ დოლარი).

სატრანსპორტო მომსახურება მომსახურების უმსხვილესი დარგია, რომელსაც 2007 წელს მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის თითქმის ნახევარი ეკავა (ექსპორტის 46,7 პროცენტი და იმპორტის 54.4 პროცენტი). სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტი 2007 წელს 511.4 მლნ აშშ დოლარს (2006 წელთან შედარებით 24.5 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 507.3 მლნ აშშ დოლარს (გაიზარდა

30.8 პროცენტით) შეადგენდა. იმპორტის წინმსწრები ტემპის გამო, სატრანსპორტო მომსახურების ბალანსი, წინა წელთან შედარებით, 82.1 პროცენტით შემცირდა.

სატრანსპორტო მომსახურების სტრუქტურაში ძირითადი ადგილი ფრანგულ უჭირავს. მისი წილი 2007 წელს ექსპორტში 60.1 პროცენტს, ხოლო იმპორტში 75.2 პროცენტს შეადგენდა. ამავე პერიოდში ტვირთების გადაზიდვის ბალანსი, წინა წელთან შედარებით, 63.4 პროცენტით გაიზარდა.

2007 წელს სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტში ყველაზე მაღალია მილსადენების წილი (32.7 პროცენტი), რომელიც 2006 წელთან შედარებით, 1.8-ჯერ გაიზარდა და 167.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რკინიგზის ტრანსპორტით მიღებული შემოსავლები, რომელიც, ძირითადად, სატრანზიტო გადაზიდვებზე მოდის, 2007 წელს, წინა წელთან შედარებით, 1.6 პროცენტით შემცირდა, რის გამოც სარკინიგზო სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტმა, ტრადიციული პირველი ადგილიდან, მეორეზე გადაინაცვლა. ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებში ტვირთბრუნვის ზრდამ 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, საზღვაო სატრანსპორტო მომსახურების (ძირითადად, დამხმარე სატრანსპორტო მომსახურების ხარჯზე) ექსპორტის 15.7 პროცენტით ზრდა და მთლიანი სატრანსპორტო მომსახურების შემოსავლების 21.4 პროცენტი განაპირობა.

2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიზარდა საზღვაო (40.0 პროცენტი) და საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურების იმპორტი (32.9 პროცენტი). 2007 წელს სატრანსპორტო მომსახურებაში მათი ხვედრითი წილი შეადგენდა 28.9 და 32.2 პროცენტს, შესაბამისად, საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების იმპორტი 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, 24.9 პროცენტით გაიზარდა და სატრანსპორტო მომსახურების იმპორტში კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელოვან წილს (25.9 პროცენტი).

2005–2007 წლებში მომსახურების ბალანსის სიდიდეს, ძირითადად, ტურისტული მომსახურება განაპირობებდა. ტურიზმის ექსპორტი 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, 22.8 პროცენტით გაიზარდა და მისი წილი მომსახურების ექსპორტში 35.1 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო იმპორტი 5.5 პროცენტით გაიზარდა და წილი მომსახურების იმპორტში 18.8 პროცენტით განისაზღვრა.

2007 წელს ტურიზმით მიღებულ შემოსავლებში პირადი ტურიზმის წილი სჭარბობს საქმიანი ტურიზმის წილს და 54.7 პროცენტს შეადგენს.

უკანასკნელ წლებში საგადასახდელო ბალანსის შემოსავლების ანგარიში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ასევე მშპ-თან მიმართებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს შემოსავლების

ბალანსის ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად იკლო, რაც, ძირითადად, საინვესტიციო შემოსავლების გადინების ზრდით არის გამოწვეული. 2007 წელს შემოსავლების ბალანსმა 39.4 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც მშპ-ის 0.4 პროცენტია. წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, შემოსავლების ბალანსი 2007 წელს, დაახლოებით, 4.1-ჯერ შემცირდა.

2007 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავლებმა 481.8 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 41.2-პროცენტთან ზრდას ნიშნავს. მიღებული შემოსავლების ძირითად წყაროს კვლავაც მუშაკთა შრომის ანაზღაურება წარმოადგენს. 2007 წელს მუშაკთა შრომის ანაზღაურება 405.8 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც მთლიანი შემოსავლების 84.2 პროცენტია. ეს მაჩვენებელი, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 28.7 პროცენტით გაიზარდა. მთლიან შემოსავლებში შედარებით მცირეა საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 3-ჯერ გაიზარდა და 76.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს პროცესი, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობა კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული დაბანდების შედეგად მიღებული შემოსავლების ზრდამ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაცემული შემოსავლები 2007 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და 442.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს 2.5-ჯერ აღემატება. შემოსავლების გადინება, ძირითადად, საინვესტიციო შემოსავლების ხარჯზე მოდის. საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებზე გადახდილმა შემოსავალმა 2007 წელს 416.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.6-ჯერ მეტია. საინვესტიციო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირი ინვესტირებისათვის გადახდილი დივიდენდებისა და რეინვესტირებული მოგებისაგან შედგება, რომელიც დაახლოებით, 297.6 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, დანარჩენი 117.2 მლნ აშშ დოლარი კი სხვა ინვესტიციების ხარჯზე მოდის. სამთავრობო სექტორის მიერ აღებულ სესხებზე გადახდილმა პროცენტმა 25.2 მლნ აშშ დოლარი, საბანკო სექტორის სესხებზე პროცენტმა 71.0 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სხვა სექტორის სესხებზე გადახდილმა პროცენტმა, დაახლოებით, 19.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შემოსავლების გადინების მუხლში შედარებით მცირეა უცხო ქვეყნის რეზიდენტებისათვის გადახდილი შრომის ანაზღაურება, რამაც 2007 წელს, დაახლოებით, 26.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მიმდინარე ტრანსფერტების ბალანსმა 2007 წელს 689.3 მლნ აშშ დოლარს

გადააჭარბა, რაც 165.3 მლნ დოლარით, ანუ 32 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით. გასულ წელს გაიზარდა მიმდინარე ტრანსფერტების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელიც: თუ 2006 წელს იგი 6.7 პროცენტი იყო, 2007 წელს 6.8 პროცენტს მიაღწია.

ტრანსფერტების შემოდინებამ 2007 წელს 769 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 31.6 პროცენტით აღემატება. მიღებული ტრანსფერტები, ძირითადად, არასამთავრობო სექტორზე მოდის. მუშაკთა ფულადმა გზავნილებმა 245.0 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სხვა ტრანსფერტებმა 316.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2007 წელს საქართველოს მთავრობამ სამთავრობათაშორისო გრანტებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკური თუ ჰუმანიტარული დახმარებების სახით 207.6 მლნ აშშ დოლარის ტრანსფერტი მიიღო. კვლავაც შედარებით მცირე იყო საქართველოდან გაცემული ტრანსფერტების მოცულობა - 80.0 მლნ აშშ დოლარი. ეს თანხა - დაახლოებით, 68.6 მლნ აშშ დოლარი, ძირითადად, საქართველოს რეზიდენტების მიერ სხვა ქვეყნებისათვის გადახდილი გადასახადებისაგან შედგება.

შემოსავლებისა და ტრანსფერტების ანალიზის კუთხით, საინტერესოა, აგრეთვე, საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების დინამიკა. ეს კატეგორია მოიცავს როგორც მუშაკთა ფულად გზავნილებს, ასევე მუშაკთა შრომის ანაზღაურებას. 2007 წელს სწრაფი ფულადი გზავნილებით საქართველოში ფულის ჩარიცხვების მაჩვენებელმა 866.2 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. წინა წელთან შედარებით, 2007 წელს ჩარიცხვები 56.6 პროცენტით გაიზარდა. სწრაფი ფულადი გზავნილებით თანხის გადმორიცხვა, ძირითადად, რუსეთსა და აშშ-დან ხდებოდა, ამ ქვეყნებზე მთელი ჩარიცხვების 76.3 პროცენტი მოდის. აღსანიშნავია, რომ სწრაფი ფულადი გზავნილებით თანხის ჩარიცხვები გაიზარდა ყველა პარტნიორი ქვეყნის მიხედვით. ზრდის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ყაზახეთიდან, ესპანეთსა და უკრაინიდან განხორციელებული სწრაფი ფულადი გზავნილების კუთხით.

შედარებით მცირეა სწრაფი ფულადი გზავნილებით თანხის საქართველოდან გადარიცხვების მოცულობა. 2007 წელს ეს მაჩვენებელი 110.7 მლნ აშშ დოლარი იყო, რაც 16.6 პროცენტით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. საქართველოდან ყველაზე მსხვილი მასშტაბით გადარიცხვები რუსეთის ფედერაციაში ხორციელდება - მთლიანი გადარიცხვების 53.2 პროცენტი. 2007 წელს შემცირდა გადარიცხვები თითქმის ყველა ძირითად პარტნიორ ქვეყანაში. გამონაკლისს წარმოადგენს სამი ქვეყანა: აზერბაიჯანი, უკრაინა და თურქეთი, სადაც 2007 წელს გადა-

რიცხვების ზრდა დაფიქსირდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აზერბაიჯანი და უკრაინა, სადაც გადარიცხვები, შესაბამისად, 2.7- და 1.6-ჯერ გაიზარდა.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. კაპიტალური ტრანზფერტების მოცულობა, რომელსაც მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში, დაწყებული 2002 წლიდან, განუხრელად იზრდებოდა. თუმცა, 2007 წელს აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა და კაპიტალური ტრანზფერტების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 43.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

წმინდა კაპიტალური ტრანზფერტების შემცირება გამოწვეულია მიღებული ტრანსფერტების, ანუ კრედიტის მნიშვნელოვანი კლებით. მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს გაცემული ტრანსფერტები, ანუ დებეტი შემცირდა, ამ უკანასკნელს დიდი მასშტაბები არ ახასიათებს და ამიტომ გავლენა ვერ მოახდინა საერთო სურათზე.

2007 წლამდე კაპიტალური ტრანსფერტის ძირითადი ნაწილი სამთავრობო სექტორზე მოდიოდა. 2007 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა სექტორში განხორციელებული კაპიტალური ტრანსფერტები, რაც გამოწვეულია მიგრანტებისა და სხვა ტრანსფერტების საგრძნობი მატებით. მიგრანტების ტრანსფერტების მუხლის კრედიტულმა ჩანაწერმა 44.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2.6-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სამთავრობო სექტორში 2006 წელს განსაკუთრებით გაზრდილი კაპიტალური ტრანსფერტები, მნიშვნელოვნად შემცირდა და 2007 წელს 67.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

კაპიტალის ანგარიშის მეორე კომპონენტის - “არასაწარმოო არაფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა” მიხედვით, ოპერაციებს 2003–2007 წლებში, პრაქტიკულად, ადგილი არ ჰქონია.

საქართველოში შემოსულმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამმა 2007 წლის ბოლოსათვის 5191.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, დაახლოებით, 1181.3 აშშ დოლარია.

2007 წლის განმავლობაში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1750.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 50 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. აქედან, სააქციო კაპიტალის წილი 49 პროცენტი, რეინვესტირებული შემოსავლებისა – 3 პროცენტი, ხოლო სხვა კაპიტალის – 48 პროცენტია. პირდაპირი ინვესტიციების “სხვა კაპიტალის” მატება “სხვა სექტორში” პირდაპირი ინვესტირების საწარმოებზე გაცემული სესხების მოცულობის ზრდით არის განპირობებული.

2007 წელს შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 1/4 მიმართული

იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისკენ. აქედან, სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენს. დანარჩენი ინვესტიციები განხორციელდა მომსახურების სექტორში და შემდეგნაირად განაწილდა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20 პროცენტი მოდის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების წილად; 18 პროცენტი – ენერჯო სექტორზე; მნიშვნელოვანი იყო მშენებლობასა და საბანკო სექტორში განხორციელებული ინვესტიციებიც – მთლიანი ინვესტიციების 8 პროცენტი თითოეულში.

2007 წელს ძირითადი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: ჩეხეთი, ნიდერლანდები, ვირჯინიის კუნძულები, კვიპროსი, თურქეთი, ყაზახეთი.

პორტფელის ინვესტიციები უმნიშვნელო იყო 2006 წლამდე, მაგრამ ამ წელს შემოსულმა ნაკადმა 142.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2007 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 33.5 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა და თითქმის მთლიანად საბანკო სექტორში განხორციელდა.

ფინანსური წარმოებულები, როგორც ფინანსური ანგარიშის დამოუკიდებელი კომპონენტი, არცთუ ისე დიდი ხანია, არსებობს. ადრე ის პორტფელის ინვესტიციებში შედიოდა. ფინანსური ბაზრების განვითარების შედეგად, ფინანსური წარმოებულების როლი ფინანსურ ოპერაციებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამიტომ მიზანშეწონილად ჩაითვალა მათი დამოუკიდებლად ჩვენება მთელ რიგ სტატისტიკურ ანგარიშებში. საფინანსო ბაზარი საქართველოში ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაშია, ამიტომ ისეთი რთული ფინანსური ინსტრუმენტებით, როგორცაა ფინანსური წარმოებულები, ოპერაციები უმნიშვნელოა და ჯერჯერობით მხოლოდ სავალუტო სვოპებს მოიცავს.

სხვა ინვესტიციების ანგარიშზე 2007 წელს დაფიქსირდა წმინდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება 578.7 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. აქედან, რეზიდენტების უცხოურმა აქტივებმა მოიმატა 202.3 მლნ აშშ დოლარით, ამავდროულად, უცხოური ვალდებულებები 781.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

“სხვა ინვესტიციების” აქტივების მკვეთრი მატება, ძირითადად, სესხებისა და უცხოური დეპოზიტების ზრდამ განაპირობა. სესხების სახით აქტივების ზრდა დაფიქსირდა ყველა სექტორში, გარდა სახელმწიფო სექტორისა. საქართველოს ეროვნული ბანკის აქტივები, სესხების სახით, აკრედიტივებზე განთავსებული თანხების ხარჯზე, 44.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საბანკო სექტორის მიერ გაცემული სესხები 51.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო სხვა სექტორების სესხები 11.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. რაც შეეხება ნაღდ ფულსა და დეპოზიტებს, აქ კომერციული ბანკების აქტივებმა 147.9 მლნ აშშ დოლარით მოიმატა.

ვალდებულებების მხრივ, სამთავრობო სექტორის ვალი 111.3 მლნ აშშ დოლარით, კომერციული ბანკებისა 647.1 მლნ აშშ დოლარით, ხოლო სხვა სექტორების 63.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ვალების უდიდესი ნაწილი გრძელვადიანია.

სამთავრობო სექტორის ვადაგადაცილებული დავალიანება 2007 წელს 34.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

2007 წლის ბოლოს ქვეყნის ოფიციალურმა სარეზერვო აქტივებმა 1361.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც, 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 430.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. სულ, წლის დასაწყისიდან საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 46.2 პროცენტით გაიზარდა. 2007 წელს ქვეყნის ოფიციალური სარეზერვო აქტივების ზრდის ძირითადი წყარო იყო: პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხები (191 მლნ აშშ დოლარი), საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვები თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე (655.6 მლნ აშშ დოლარი). გარდა ამისა, 2007 წელს რეზერვების ზრდას ხელი შეუწყო მათი მართვიდან მიღებულმა შემოსავლებმა 97.1 მლნ ლარის ოდენობით. რაც შეეხება გასავალს, იგი, ძირითადად, სახელმწიფო ხარჯებს მოიცავდა.

ამრიგად, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის რეალური მოდელისათვის დამახასიათებელია შემდეგი ტენდენციები:

- მიმდინარე ბალანსის შედარებით მაღალი უარყოფითი სალდო, რაც ექსპორტის დიდი ჩამორჩენილობით აიხსნება;
- მომსახურების ბალანსის უმნიშვნელო მოცულობანი და სუსტი ჩართვა საერთაშორისო გაცვლაში;
- შემოსავლებისა და მიმდინარე ტრანსფერტების მცირე მოცულობანი. შემოსავლებში ძალიან მაღალია საქართველოდან წასული მიგრანტებისაგან გადმორიცხული თანხების წილი, ხოლო მიმდინარე ტრანსფერტებში – უცხოური გრანტების წილი, რაც მიმდინარე ბალანსის სტაბილურობას მკვეთრად ამცირებს;
- აღინიშნება კაპიტალის ანგარიშის, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების უმნიშვნელო მოცულობანი, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, მიმზიდველობის, ეკონომიკური ზრდის დაბალი დინამიკითა და ხარისხით არის გამოწვეული;
- კაპიტალის ბალანსი უპირატესად „სხვა ინვესტიციების“ კომპონენტს ეყრდნობა, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და საკრედიტო ინსტიტუტების კრედიტების ზრდას განაპირობებს. შესაბამისად, იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი და ფერხდება ეკონომიკური ზრდა;
- დამახასიათებელია შეცდომებისა და გამოტოვებების ძალიან მაღალი

დონე;

